

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბესიკ კველია

გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდების კვლევა
ატლასის ექსპერიმენტის სიმულაციისათვის

წარმოდგენილია

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა „ინფორმატიკა“

შიფრი 0401

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, ბესიკ კეკელია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავაცანით ბესიკ კეკელიას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდების კვლევა ატლასის ექსპერიმენტის სიმულაციისათვის“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის -----
----- საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-----, ----- 2021წელი

ხელმძღვანელი: პროფესორი ალექსანდრე შარმაზანაშვილი

რეცენზენტი: -----

რეცენზენტი: -----

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2021

ავტორი: ბესიკ კეკელია

დასახელება: „გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდების კვლევა ატლასის ექსპერიმენტის სიმულაციისათვის“

სადოქტორო პროგრამა: ინფორმატიკა

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: -----

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ბირთვული ფიზიკის ექსპერიმენტები, დღეისათვის მსოფლიოში მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს. მათ ამბიციური მიზნები გააჩნიათ. როგორცაა: სიმსივნური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა, დიდი აფეთქების თეორიის ექსპერიმენტალური კვლევა და ა.შ. მათ შორის გამორჩეულია: LHC (The Large Hadron Collider)-ის ექსპერიმენტი და მისი შემადგენელი ATLAS-ის ექსპერიმენტი. LHC-ის ექსპერიმენტი მიმდინარეობს CERN-ში, ქენევა, შვეიცარია. მისი ძირითადი მიზნებია:

1. სტანდარტული მოდელის ექსპერიმენტალური დადასტურება და აქედან გამომდინარე დიდი მასის მქონე Z ბოზონის და ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა
2. დიდი აფეთქების თეორიის ექსპერიმენტალური კვლევა
3. სუპერ სიმეტრიის დადასტურება

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების კვლევა LHC-ის ექსპერიმენტში პროტონების დაჯახების გზით მიმდინარეობს.

ATLAS-ის ექსპერიმენტში ერთერთი მთავარი მიმართულებაა ექსპერიმენტის სიმულაცია. სიმულაციის მიზანია ის, რომ რიგი ექსპერიმენტები ჩატარდეს არა რეალურ დეტექტორებზე, არამედ მათ მათემატიკურ მოდელებზე. სიმულაცია საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნეს დეტექტორში არ არსებული, თეორიული მოვლენები. ATLAS-ის ექსპერიმენტის სიმულაცია დაფუძნებულია Geant4 მოდელირების პაკეტზე.

წელიწადში დაახლოებით 5-7 მილიარდი ხელოვნური მოვლენის ფორმირება ხდება. და მათ დასამუშავებლად Geant4-ს სჭირდება 77 მლნ საათზე მეტი. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი პარამეტრია სიმულაციის წარმადობა. წარმადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიმულაციის პაკეტებში გამოყენებული ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიული აღწერები, რომლებიც დაპროგრამების სხვადასხვა მეთოდებით არიან შექმნილი. თუ რა გავლენას ახდენს გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდები სიმულაციის პროცესის წარმადობაზე შესწავლილი არ არის და მისი გამოკვლევა წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას.

I თავში განხილულია დღეისათვის მსოფლიოში მიმდინარე ბირთვული ფიზიკის სხვადასხვა ექსპერიმენტები. მათი მიზნები და ამოცანები. ასევე განხილულია ATLAS-ის ექსპერიმენტის პროგრამული უზრუნველყოფა და ფიზიკური პროცესების სიმულაციის პროცესი. განხილულია მოდელირების პაკეტი Geant4 და აქ მიმდინარე სხვადასხვა პროექტები, მათ შორის ATLAS-ის ექსპერიმენტის სიმულაციის ინფრასტრუქტურა. I თავის ბოლოს ჩამოყალიბებულია საკვლევი ამოცანა და კვლევის მეთოდური გეგმა

II თავი შეიცავს ინფორმაციას კვლევისთვის საჭირო სატესტო მაგალითების ფორმირების შესახებ. სატესტო მაგალითების ფორმირება რამდენიმე ეტაპად განხორციელდა ესენია:

1. ATLAS-ის დეტექტორის ტიპური გეომეტრიული აღწერების შერჩევა
2. სატესტო მაგალითებისთვის დაპროგრამების მეთოდების შერჩევა
3. შერჩეული დაპროგრამების მეთოდების ანალიზი
 - 3.1. მსგავსი ტოპოლოგიების გამორიცხვა
 - 3.2. ირაციონალური მეთოდების გამორიცხვა
 - 3.3. თეორიული მეთოდების გამორიცხვა

1-ლი ეტაპის დასრულების შემდეგ განხორციელდა 66 სატესტო მაგალითის ფორმირება, რომლებიც 3 კლასში წახნაგოვანი, ცილინდრული და შერეულ კლასში განაწილდა. მე-2 ეტაპის შემდეგ 66 მაგალითისთვის შერჩეულ იქნა 2713 დაპროგრამების მეთოდი. მე-3 ეტაპის შემდეგ კი კვლევისთვის ჩამოყალიბდა 42 სატესტო მაგალითი თავისი 416 დაპროგრამების მეთოდით. ამავე თავში შესულია მე-2 თავის დასკვნები.

III თავში შესულია საკვლევი ინფრასტრუქტურის განსაზღვრის საკითხები. ეს თავის თავში მოიცავს შემდეგ საკითხებს: სიმულაციის შესასვლელი ინფორმაციის განსაზღვრა და სიმულაციის პროცესის წარმადობის შეფასების კრიტერიუმების და CPU Time-ის ხმაურის კოეფიციენტის განსაზღვრა. 1-ლი ამოცანის შესრულების შედეგად განისაზღვრა სიმულაციის შესასვლელი ინფორმაცია:

1. მონტეკარლოს გენერატორების მიერ შექმნილი ხელოვნური მოვლენები
2. დეტექტორის გეომეტრიული აღწერები
3. Condition Tag

განხორციელდა სიმულაციის წარმადობის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და ეს კრიტერიუმებია ოპერატიული მეხსიერების დატვირთვა, რომელიც იზომება კბ-ებში და CPU Time, რომელის იზომება მილი წამებში.

სერვერებზე, რომლებზეც სიმულაცია მიმდინარეობს, პარალელურად სხვა ამოცანების შესრულებასაც ემსახურება, აქედან გამომდინარე განისაზღვრა CPU Time-ის ხმაურის კოეფიციენტის მიხედვით საუკეთესო სერვერი. განხორციელდა 3 სხვადასხვა სერვერის გამოკვლევა, გამოკვლეულ იქნა lxplus703.cern.ch, lxplus723.cern.ch და lxplus782.cern.ch სერვერები. ტესტირებისთვის კი შერჩეულ იქნა lxplus703.cern.ch სერვერი, რომელმაც CPU Time-ის ხმაურის მიხედვით საუკეთესო შედეგი აჩვენა.

IV თავში მოცემულია ინფორმაცია სიმულაციის სატესტო სესიების შესახებ. სესიები ჩატარდა რამდენიმე ეტაპად. განხორციელდა ცილინდრული ობიექტების, წახნაგოვანი ობიექტების და შერეული ობიექტების ტესტირება. შედეგად განისაზღვრა დაპროგრამების მეთოდების რეიტინგი წარმადობის თვალსაზრისით. ასევე განხორციელდა

ობიექტების სხვადასხვა რაოდენობის ტესტირება, რომლის მიზანიც არის სიმულაციის წარმადობაზე ობიექტების რაოდენობის გავლენის გამოკვლევა. კვლევების შედეგად დადასტურდა, რომ დაპროგრამების მეთოდებს გავლენა აქვს სიმულაციის წარმადობაზე, ასევე ობიექტების რაოდენობის ცვლილება გავლენას ახდენს წარმადობაზე. თავის ბოლოს არის მოცემული მე-4 თავის დასკვნები.

V თავში განხილულია კვლევით მიღებული შედეგების აპრობაციის საკითხები. აპრობაცია განხორციელდა ATLAS-ის დეტექტორის ერთერთი ქვე-დეტექტორის NSW (New Small Wheel)-ზე. განხორციელდა NSW-ის გეომეტრიული აღწერის სხვადასხვა მეთოდით გადაწერა. შეიქმნა მისი კოდის ოპტიმალური და არა ოპტიმალური ვარიანტები. მათი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიღებული მეთოდების ეფექტურობა ოპერატიული მეხსიერების დატვირთვის მიხედვით შეადგენს 62.1%-ს, ხოლო CPU Time-ის მიხედვით კი 70.3%-ს.

დისერტაცია ასევე შეიცავს კვლევის შედეგად მიღებულ ძირითად დასკვნებს:

1. გამოიყო ატლასის დეტექტორის 66 ტიპური გეომეტრიული აღწერა
2. დამუშავდა გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდების კლასიფიკაცია, რომელშიც გაერთიანდა - ცილინდრული კლასისთვის 29, წახნაგოვანი კლასისთვის 135 და კომბინირებული კლასისთვის 252 ტიპური დაპროგრამების მეთოდი
3. გამოიყო ატლასის დეტექტორის გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების ტიპური კლასები და მეთოდები
4. წახნაგოვანი ობიექტების დაპროგრამებისათვის დამტკიცდა, რომ პოლიგონ მეთოდები განაპირობებენ უკეთეს წარმადობას მყარი ტანის პრიმიტივების მეთოდებთან შედარებით, რაც ობიექტების რაოდენობის ზრდასთან ერთად აღწევს - CPU-თვის 8%-ს, ხოლო RAM-თვის 20%-ს
5. ცილინდრული ობიექტების დაპროგრამებისათვის დადგინდა, რომ მეთოდების ცვლილება განაპირობებს წარმადობის უმნიშვნელო ცვლილებას, რაც ობიექტების რაოდენობის ზრდასთან ერთად აღწევს 4%-ს
6. კომბინირებული ობიექტების დაპროგრამებისათვის პოლიგონ მეთოდებს უკეთესი წარმადობა აქვთ ვიდრე მყარი ტანის პრიმიტივების მეთოდებს და ეს სხვაობა პირდაპირპროპორციულად იზრდება ობიექტების რაოდენობასთან ერთად
7. შეიქმნა სიმულაციის წარმადობის შესწავლის საკვლევო ინფრასტრუქტურა
8. გამოვლენილ იქნა Tube მეთოდის ეფექტურობა ცილინდრული ობიექტების დაპროგრამების ამოცანებისათვის

9. გამოვლენილ იქნა Arbitrary_Polygon მეთოდის ეფექტურობა წახნაგოვანი ობიექტების დაპროგრამების ამოცანებისათვის
10. გამოვლინდა უმნიშვნელო სხვაობა Cube და Pyramid მეთოდებს შორის როგორც წახნაგოვანი, ასევე კომბინირებული ობიექტების დაპროგრამების ამოცანებისათვის
11. განხორციელდა დაპროგრამების მეთოდების რანჟირება. შეიქმნა დაპროგრამების მეთოდების რეიტინგი წარმადობის თვალსაზრისით

Abstract

Nuclear physics experiments are currently conducted in many countries around the world. They have ambitious goals. Such as: the fight against cancer, the study of the Big Bang theory, and so on. Among them are the LHC (The Large Hadron Collider) experiment and the ATLAS experiment. The LHC experiment is taking place at CERN, Geneva, Switzerland. Its main goals are:

1. Experimental validation of a standard model and hence the discovery of a large mass Z boson and a Higgs boson
2. Study of the Big Bang theory
3. Confirmation of super symmetry

The above issues are being researched by proton collisions in the LHC experiment.

Simulation is one of the main cornerstones for the success of ATLAS Experiment. The aim of the simulation is to conduct a series of experiments not on real detectors but on their mathematical models. The simulation allows the non-existent, theoretical events to be investigated. The ATLAS experiment simulation is based on the Geant4 modeling package.

Approximately 5-7 billion artificial events are produced annually and Geant4 needs more than 77 million hours to process them. This is why simulation performance is a very important parameter. Performance is significantly influenced by the geometric descriptions of the ATLAS detector used in the simulation packages, which are created by different programming methods. The influence of geometric description programming methods on the performance of the simulation process has not been studied and its investigation is an important task.

Chapter I discusses various experiments in nuclear physics in the world today. Their goals and objectives. Also discussed are the ATLAS experiment software and the physical process simulation process. The Geant4 modeling package and various ongoing projects are discussed here, including the ATLAS experiment simulation infrastructure. At the end of the chapter, the research task and the methodological plan are formulated.

Chapter II contains information on the formation of test samples required for research. The formation of test samples was carried out in several stages, as follows:

1. Selection of the typical geometric descriptions of the ATLAS detector
2. Selection of programming methods for test examples
3. Analysis of selected programming methods
 - 3.1. Exclude similar topologies
 - 3.2. Exclude irrational methods
 - 3.3. Exclude theoretical methods

After the completion of the 1st stage, 66 test samples were produced, which were divided into 3 classes: hollow, cylindrical and mixed. After step 2, 2713 programming methods were selected for 66 examples. After the third stage, 42 test samples were produced for the study with its 416 programming methods. The conclusions of Chapter 2 are included in the same chapter.

Chapter III covers the issues of defining research infrastructure. This includes the following topics: Determining input information for the simulation, determining the criteria for evaluating the performance of the simulation process and the CPU Time noise ratio. As a result of the of the 1st task, the input information of the simulation was determined:

1. Simulated events created by Monte Carlo generators
2. Geometric descriptions of the detector
3. Condition Tag

The simulation performance assessment criteria were defined and these criteria are RAM memory measured in KBs and CPU Time measured in milliseconds.

The servers that run simulation also work other tasks in parallel, hence the best server in terms of CPU Time noise ratio has been determined. 3 different servers were analyzed: lxplus703.cern.ch, lxplus723.cern.ch and lxplus782.cern.ch. The lxplus703.cern.ch server was selected for testing, because it showed the best result in terms of CPU Time noise.

Chapter IV provides information on simulation test sessions. The sessions were conducted in several stages. Testing was performed on cylindrical, polygon and mixed objects. As a result, ranking of programming methods in terms of performance was determined. Different number of objects were also tested to investigate the impact of the number of objects on the simulation performance. Studies have shown that programming methods have an impact on simulation performance, and that changing the number of objects has an impact on performance. At the end of the chapter are the conclusions of Chapter 4.

Chapter V discusses research findings and its approbation. Approbation was performed on one of the ATLAS detector sub-detectors NSW (New Small Wheel). NSW geometry was described using different programming methods. Optimal and non-optimal versions of its code were created. Their study found that the efficiency of the adopted methods was 62.1% according to the RAM load and 70.3% according to the CPU Time.

The dissertation also contains the main conclusions of the research:

1. 66 typical geometric descriptions of the Atlas Detector were selected

2. Developed classification of programming methods for geometric descriptions, which combined - typical programming methods for the cylindrical class 29, 135 for the concave class and 252 for the combined class
3. Identified Typical classes and methods for programming geometric descriptions of the Atlas Detector were identified
4. For programming polygonal objects, it has been proven that polygon methods provide better performance compared to solid-body primitive methods, which increases with the number of objects - 8% for CPU and 20% for RAM
5. For the programming of cylindrical objects, it was found that the change of methods causes a slight change in performance, which reaches 4% with the increase in the number of objects
6. Polygon methods for programming combined objects have better performance than solid-body primitive methods, and this difference increases in direct proportion to the number of objects
7. A simulation performance study infrastructure has been created
8. The effectiveness of the Tube method for the programming tasks of cylindrical objects was revealed
9. The effectiveness of the Arbitrary Polygon method for the programming of polygonal objects was revealed
10. Slight differences were found between the Cube and Pyramid methods for both polygonal and combined object programming tasks.
11. Programming methods were ranked by performance

სარჩევი

შესავალი	20
თავი I: ATLAS-ის ექსპერიმენტის კომპიუტინგი	24
1.1 ბირთვული ფიზიკის პროექტები	24
1.2 ATLAS-ის ექსპერიმენტის პროგრამული უზრუნველყოფა	27
1.3 ფიზიკური პროცესების სიმულაცია	30
1.4 ATLAS-ის სიმულაციის ინფრასტრუქტურა GEANT4-ის გაზაზხე	38
1.5 საკვლევი ამოცანის ჩამოყალიბება	53
თავი II: სატესტო მაგალითების ფორმირება	55
2.1 დეტექტორის ტიპური გეომეტრიების გამოყოფა	55
2.2 დაპროგრამების მეთოდების შერჩევა	56
2.3 დაპროგრამების მეთოდების ანალიზი	101
2.3.1 მსგავსი ტოპოლოგიების გამორიცხვა	102
2.3.2 ირაციონალური მეთოდების გამორიცხვა	107
2.3.3 თეორიული მეთოდების გამორიცხვა	107
2.4 მე-2 თავის დასკვნები	109
თავი III: საკვლევი ინფრასტრუქტურის განსაზღვრა	111
3.1 სიმულაციის შესასვლელი ინფორმაციის განსაზღვრა	111
3.2 სიმულაციის პროცესის წარმადობის შეფასების კრიტერიუმების და CPU-ს ხმაურის კოეფიციენტის მიხედვით ტესტირების სერვერის განსაზღვრა	118
3.3 მე-3 თავის დასკვნები	121
თავი IV: სიმულაციის სატესტო სესიები	122
4.1 ცილინდრული ობიექტების ტესტირება	122
4.1.1 ტესტირება: მაგალითი № 23	122
4.1.2 ტესტირება: მაგალითი № 28	124
4.1.3 ტესტირება: მაგალითი № 11	126
4.2 წახნაბოვანი ობიექტების ტესტირება	128
4.2.1 ტესტირება: მაგალითი № 03	132
4.2.2 ტესტირება: მაგალითი № 27	135
4.2.3 შერეული ობიექტების ტესტირება	137
4.2.4 ობიექტების რაოდენობის სიმულაციის წარმადობაზე გავლენის გამოკვლევა	141
4.3 მე-4 თავის დასკვნები	148
თავი V: კვლევის შედეგების აპრობაცია	151
5.1 კვლევის შედეგების აპრობაციის ეტაპები	151
5.2 ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიული აღწერების კომპლექსურობის განსაზღვრა	152
5.3 სატესტო მაგალითის შერჩევა აპრობაციისთვის	153

5.4 NSW-ის სიმულაციის სატესტო სესიებისთვის კოდეზის ფორმირება	155
5.5 სიმულაციის სატესტო სესიები NSW-თვის	158
5.6 აპრობაციის შედეგების ანალიზი	160
5.7 მე-5 თავის დასკვნები	162
დისერტაციის დასკვნები:	163
ბამოყენებული ლიტერატურა:	165

სურათების ნუსხა

სურ. 1 LHC-ის ამაჩქარებელი	24
სურ. 2 LHC-ის ამაჩქარებელის სქემატური გეოლოგიური გეგმა	25
სურ. 3 ATLAS-ის დეტექტორი	26
სურ. 4 Athena-ს ფრეიმვორკი	28
სურ. 5 BABAR დეტექტორი	31
სურ. 6 BABAR ექსპერიმენტის სიმულაციის სქემა	31
სურ. 7 ALICE-ის დეტექტორი	32
სურ. 8 VMC კონცეფციის სქემა	33
სურ. 9 ატლასის სრული სიმულაციის სქემა	34
სურ. 10 ატლასის სრული სიმულაციის სქემა	34
სურ. 11 Calorimeter-ში დაფიქსირებული ჰიტები ერთ-ერთი მოვლენისთვის	35
სურ. 13 რეკონსტრუქცია	36
სურ. 12 დიგიტიზაცია	36
სურ. 14 ინტეგრირებული სიმულაციის ფრეიმვორკი (ISF)	37
სურ. 15 ISF-ის მუშაობის პრინციპი	38
სურ. 16 გეომეტრიული აღწერების სიმულაციის მიწოდების ჯაჭვი	39
სურ. 17 ATLAS-ის დეტექტორის აქტიური კომპონენტების მონაცემთა ბაზა	40
სურ. 18 აქტიური კომპონენტების მონაცემთა ბაზის სტრუქტურა	40
სურ. 19 HVS-ის კომპონენტები	41
სურ. 20 Leaf Node-ის კომპონენტები	41
სურ. 21 Tile Calorimeter-ის GeoModel-ის კოდის ფრაგმენტი	42
სურ. 22 Tile Calorimeter-ის ერთ-ერთი კომპონენტის GeoModel-ის კოდის ფრაგმენტი	42
სურ. 24 Tile Calorimeter-ის ერთ-ერთი კომპონენტის GeoModel-ის კოდის ფრაგმენტი	43
სურ. 23 TileGlobals -ის მონაცემთა ბაზის ფრაგმენტი	43
სურ. 25 Box პრიმიტივი GeoModel-ში	44
სურ. 26 GeoCons პრიმიტივი GeoModel-ში	45
სურ. 27 GeoPcon პრიმიტივი GeoModel-ში	45
სურ. 28 GeoTrap პრიმიტივი GeoModel-ში	45
სურ. 29 GeoTube პრიმიტივი GeoModel-ში	46
სურ. 30 GeoTubes პრიმიტივი GeoModel-ში	46
სურ. 31 Logical Volume-ის სტრუქტურა GeoModel-ში	46
სურ. 32 Physical Volume -ის სტრუქტურა GeoModel-ში	47
სურ. 33 დაპროგრამების მეთოდი cube	47
სურ. 34 დაპროგრამების მეთოდი Tube	47
სურ. 36 დაპროგრამების მეთოდი Cylinder	48
სურ. 35 დაპროგრამების მეთოდი Pyramid	48
სურ. 37 დაპროგრამების მეთოდი Cylinder	49
სურ. 38 დაპროგრამების მეთოდი arbitrary polygon	50
სურ. 39 დაპროგრამების მეთოდი Symmetric polygon	50
სურ. 40 დაპროგრამების მეთოდი Double Symmetric polygon	50
სურ. 41 დაპროგრამების მეთოდი combined	51

სურ. 42 დაპროგრამების მეთოდი merged.....	51
სურ. 43 დაპროგრამების მეთოდი subtract.....	52
სურ. 44 დაპროგრამების მეთოდი Hybridized	52
სურ. 46 დანართი N1-ის #35 და #51 მაგალითები	55
სურ. 45 დანართი N1-ის მაგალითები	55
სურ. 47 დანართი N1-ის #42 და #53 მაგალითები	56
სურ. 48 #1 სატესტო მაგალითი.....	57
სურ. 49 #2 სატესტო მაგალითი.....	58
სურ. 50 #3 სატესტო მაგალითი.....	58
სურ. 51 #4 სატესტო მაგალითი.....	59
სურ. 52 #5 სატესტო მაგალითი.....	60
სურ. 53 #6 სატესტო მაგალითი.....	60
სურ. 54 #7 სატესტო მაგალითი.....	61
სურ. 55 #8 სატესტო მაგალითი.....	62
სურ. 56 #9 სატესტო მაგალითი.....	62
სურ. 57 #10 სატესტო მაგალითი.....	63
სურ. 58 #11 სატესტო მაგალითი.....	64
სურ. 59 #12 სატესტო მაგალითი.....	64
სურ. 60 #13 სატესტო მაგალითი.....	65
სურ. 61 #14 სატესტო მაგალითი.....	66
სურ. 62 #15 სატესტო მაგალითი.....	66
სურ. 63 #16 სატესტო მაგალითი.....	67
სურ. 64 #17 სატესტო მაგალითი.....	68
სურ. 65 #18 სატესტო მაგალითი.....	68
სურ. 66 #19 სატესტო მაგალითი.....	69
სურ. 67 #20 სატესტო მაგალითი.....	69
სურ. 68 #21 სატესტო მაგალითი.....	70
სურ. 69 #22 სატესტო მაგალითი.....	71
სურ. 70 #23 სატესტო მაგალითი.....	72
სურ. 71 #24 სატესტო მაგალითი.....	73
სურ. 72 #25 სატესტო მაგალითი.....	74
სურ. 73 #26 სატესტო მაგალითი.....	74
სურ. 74 #27 სატესტო მაგალითი.....	75
სურ. 75 #28 სატესტო მაგალითი.....	75
სურ. 76 #29 სატესტო მაგალითი.....	76
სურ. 77 #30 სატესტო მაგალითი.....	77
სურ. 78 #32 სატესტო მაგალითი.....	78
სურ. 79 #33 სატესტო მაგალითი.....	79
სურ. 80 #34 სატესტო მაგალითი.....	79
სურ. 81 #35 სატესტო მაგალითი.....	80
სურ. 82 #36 სატესტო მაგალითი.....	80
სურ. 83 #37 სატესტო მაგალითი.....	81
სურ. 84 #38 სატესტო მაგალითი.....	82
სურ. 85 #39 სატესტო მაგალითი.....	83

სურ. 86 #40 სატესტო მაგალითი.....	83
სურ. 87 #41 სატესტო მაგალითი.....	84
სურ. 88 #43 სატესტო მაგალითი.....	85
სურ. 89 #44 სატესტო მაგალითი.....	86
სურ. 90 #45 სატესტო მაგალითი.....	88
სურ. 91 #46 სატესტო მაგალითი.....	88
სურ. 92 #47 სატესტო მაგალითი.....	89
სურ. 93 #48 სატესტო მაგალითი.....	90
სურ. 94 #50 სატესტო მაგალითი.....	90
სურ. 95 #51 სატესტო მაგალითი.....	91
სურ. 96 #54 სატესტო მაგალითი.....	92
სურ. 97 #55 სატესტო მაგალითი.....	92
სურ. 98 #56 სატესტო მაგალითი.....	93
სურ. 99 #57 სატესტო მაგალითი.....	93
სურ. 100 #58 სატესტო მაგალითი.....	94
სურ. 101 #59 სატესტო მაგალითი.....	95
სურ. 102 #60 სატესტო მაგალითი.....	96
სურ. 103 #61 სატესტო მაგალითი.....	96
სურ. 104 #62 სატესტო მაგალითი.....	97
სურ. 105 #63 სატესტო მაგალითი.....	98
სურ. 106 #64 სატესტო მაგალითი.....	98
სურ. 107 #65 სატესტო მაგალითი.....	99
სურ. 108 #66 სატესტო მაგალითი.....	100
სურ. 109 პრიმიტივების სრული ნუსხის #26 და#27 მაგალითები.....	102
სურ. 110 პრიმიტივების სრული ნუსხის #29, #46 და #48 მაგალითები.....	103
სურ. 111 პრიმიტივების სრული ნუსხის #28, #34 და #53 მაგალითები.....	104
სურ. 112 პრიმიტივების სრული ნუსხის #30, და #49 მაგალითები.....	104
სურ. 113 პრიმიტივების სრული ნუსხის #38, და #54 მაგალითები.....	105
სურ. 114 პრიმიტივების სრული ნუსხის #51, და #52 მაგალითები.....	106
სურ. 115 ATLAS-ის ექსპერიმენტის ტრიგერული სისტემები.....	111
სურ. 116 ივენთის მახასიათებელი პარამეტრები	112
სურ. 117 სიმულაციის გამშვები პითონის სკრიპტი	113
სურ. 118 ფრაგმენტი ატლასის დეტექტორის გეომეტრიული აღწერების მონაცემთა ბაზიდან.....	114
სურ. 119 დეტექტორში ნაწილაკების გავრცელების სქემა.....	114
სურ. 120 ფრაგმენტი წარმატებული სიმულაციის log ფაილიდან	116
სურ. 121 ფრაგმენტი წარუმატებელი სიმულაციის log ფაილიდან	116
სურ. 122 ფრაგმენტი ხელოვნურად გამოწვეული წარუმატებელი სიმულაციის log ფაილიდან.....	117
სურ. 123 ჩვენი გეომეტრიული აღწერებით ჩატარებული სიმულაციის შედეგი ..	117
სურ. 124 default პარამეტრების ჩატარებული სიმულაციის შედეგი.....	118
სურ. 125 ფრაგმენტი default პარამეტრების ჩასანაცვლებელი პითონის სკრიპტიდან.....	118

სურ. 126 CPU Time და RAM-ის შესახებ ინფორმაცია სიმულაციის პროცესის log ფაილში.....	118
სურ. 127 სერვერ lxplus703.cern.ch - ის სიმულაციის შედეგები.....	120
სურ. 128 სერვერ lxplus723.cern.ch - ის სიმულაციის შედეგები.....	120
სურ. 129 სერვერ lxplus782.cern.ch - ის სიმულაციის შედეგები.....	120
სურ. 130 # 23 მაგალითის სიმულაციის შედეგები წარმოდგენილი გრაფიკულად	124
სურ. 131 # 28 მაგალითის სიმულაციის შედეგები წარმოდგენილი გრაფიკულად	126
სურ. 132 # 11 მაგალითის სიმულაციის შედეგები წარმოდგენილი გრაფიკულად	128
სურ. 133 cube და pyramid მეთოდების კვლევის შედეგები.....	130
სურ. 134 cube და pyramid მეთოდების კვლევის შედეგები. ოპერატიული მესხიერების დატვირთვა.....	132
სურ. 135 # 03 მაგალითი	133
სურ. 136 # 03 მაგალითის სიმულაციის შედეგები წარმოდგენილი გრაფიკულად	134
სურ. 137 # 27 მაგალითი	135
სურ. 138 # 27 მაგალითის სიმულაციის შედეგები წარმოდგენილი გრაფიკულად	136
სურ. 139 ფრაგმენტი geometry-ATLAS-R2-2016-01-00-01-ის GDML კოდიდან.....	141
სურ. 140 #23 მაგალითი	142
სურ. 141 Tube-vs-Chain-vs-Cylinder-ის ობიექტების რაოდენობაზე დამოკიდებული სიმულაციის შედეგები.....	143
სურ. 142 #11 მაგალითი ობიექტების რაოდენობაზე დამოკიდებული სიმულაციის შედეგები	145
სურ. 143 #39 მაგალითი	145
სურ. 144 #39 სიმულაციის შედეგები	146
სურ. 145 #19 მაგალითი	147
სურ. 146 #19 მაგალითის სიმულაციის შედეგები	148
სურ. 147 NSW-ში პრიმიტივების რაოდენობა. ფრაგმენტი CATIA-დან.....	153
სურ. 148 ATLAS-ექსპერიმენტის New Small Wheel.....	154
სურ. 149 NSW-ის ძირითადი ნაწილები.....	155
სურ. 150 ფრაგმენტი NSW-ის პროგრამული კოდიდან.....	156
სურ. 151 ოპტიმალური და არა ოპტიმალური CGS მეთოდების სიმულაციის შედეგები წარმოდგენილი გრაფიკულად	159
სურ. 152 ოპტიმალური და არა ოპტიმალური Arbitrary vs Pyramid + Boolean მეთოდების სიმულაციის შედეგები წარმოდგენილი გრაფიკულად	160

ცხრ. 43 #42 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	85
ცხრ. 44 #43 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	86
ცხრ. 45 #44 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	87
ცხრ. 46 #45 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	88
ცხრ. 47 #46 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	89
ცხრ. 48 #47 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	89
ცხრ. 49 #48 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	90
ცხრ. 50 #50 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	91
ცხრ. 51 #51 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	91
ცხრ. 52 #54 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	92
ცხრ. 53 #55 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	92
ცხრ. 54 #57 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	94
ცხრ. 55 #58 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	95
ცხრ. 56 #59 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	95
ცხრ. 57 #60 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	96
ცხრ. 58 #61 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	97
ცხრ. 59 #62 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	97
ცხრ. 60 #63 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	98
ცხრ. 61 #64 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	99
ცხრ. 62 #65 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	99
ცხრ. 63 #66 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	100
ცხრ. 64 #26, #27 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები.....	102
ცხრ. 65 #29, #46 და #48 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები.....	103
ცხრ. 66 #28, #34 და #54 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები.....	104
ცხრ. 67 #30 და #49 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები.....	105
ცხრ. 68 #38 და #54 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები.....	105
ცხრ. 69 #51 და #52 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები.....	106
ცხრ. 70 #05 და #05 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები.....	106
ცხრ. 71 სიმულაციის შედეგები CPU Time-ის ხმაურის დასადგენად.....	119
ცხრ. 72 #23 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	123
ცხრ. 74 #23 მაგალითის სიმულაციის წარმადობის შედეგები.....	123
ცხრ. 73 #23 მაგალითის CPU Time-ის ხმაურის კოეფიციენტი.....	123
ცხრ. 75 #28 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	124
ცხრ. 76 #28 მაგალითის სიმულაციის წარმადობის.....	125
ცხრ. 77 #28 მაგალითის CPU Time-ის ხმაურის კოეფიციენტი.....	125
ცხრ. 78 #11 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	126
ცხრ. 79 #11 მაგალითის CPU Time-ის ხმაურის კოეფიციენტი.....	127
ცხრ. 80 #08, #21, #26, #32 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები.....	127
ცხრ. 81 #11 მაგალითის სიმულაციის შედეგები.....	127
ცხრ. 82 #01, #02; #04; #05; #30; #24; #31; #39; #42 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები.....	129
ცხრ. 83 CPU Time-ის ხმაურის კოეფიციენტი cube და pyramid მეთოდებისთვის.	129
ცხრ. 84 სიმულაციიდან მიღებული შედეგები cube და pyramid მეთოდებისათვის.....	130

ცხრ. 85 სიმულაციიდან მიღებული შედეგები I-დან VII-მდე მაგალითებისათვის	132
ცხრ. 86 #03 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	133
ცხრ. 87 #03 მაგალითის CPU Time-ის ხმაურის კოეფიციენტი	133
ცხრ. 88 #03 მაგალითის სიმულაციის შედეგები.....	134
ცხრ. 89 #27 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	135
ცხრ. 90 #27 მაგალითის CPU Time-ის ხმაურის კოეფიციენტი	135
ცხრ. 91 #27 მაგალითის სიმულაციის შედეგები.....	136
ცხრ. 92 #19-ის დაპროგრამების მეთოდები	137
ცხრ. 93 #19 მაგალითის სიმულაციის შედეგები.....	140
ცხრ. 94 ხმაურის კოეფიციენტი #23 მაგალითისთვის	142
ცხრ. 95 #23 მაგალითი. სხვადასხვა რაოდენობის ობიექტების სიმულაციის შედეგები	143
ცხრ. 96 #11 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	144
ცხრ. 97 ხმაურის კოეფიციენტი #11 მაგალითისთვის	144
ცხრ. 98 #11 მაგალითი. სხვადასხვა რაოდენობის ობიექტების სიმულაციის შედეგები	144
ცხრ. 99 #39 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	145
ცხრ. 100 #39 მაგალითის CPU time-ის ხმაურის კოეფიციენტი.....	146
ცხრ. 101 #39 მაგალითის სიმულაციის შედეგები.....	146
ცხრ. 102 #19 CPU time-ის ხმაურის კოეფიციენტი.....	147
ცხრ. 103 #19 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები.....	147
ცხრ. 104 #19 მაგალითის სიმულაციის შედეგები.....	148
ცხრ. 105 მიღებული კვლევის შედეგების აპრობაციის ეტაპები გამოსახული სქემატურად	151
ცხრ. 106 ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიული აღწერების ზოგადი პარამეტრები	152
ცხრ. 107 NSW -ში გამოყენებული arbitrary მეთოდის ანალიზის შედეგები	157
ცხრ. 108 ოპტიმალური და არა ოპტიმალური CGS მეთოდების სიმულაციის შედეგები	158
ცხრ. 109 ოპტიმალური და არა ოპტიმალური CGS მეთოდების CPU time-ის ხმაურის კოეფიციენტი.....	158
ცხრ. 110 ოპტიმალური და არა ოპტიმალური Arbitrary vs Pyramid + Boolean.....	159
ცხრ. 111 მეთოდის ეფექტურობა დეტექტორის სხვადასხვა სტრუქტურებისთვის	161

შესავალი

თემის აქტუალობა და მიზანი.

დღეისათვის მსოფლიოში რამდენიმე დიდი პროექტი ხორციელდება მაღალი ენერგიების ფიზიკაში. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს LHC (large Hadron Collider) -ის ექსპერიმენტს. ასეთ ამბიციური მიზნები გააჩნიათ. როგორცაა: სიმსივნური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა, დიდი აფეთქების თეორიის ექსპერიმენტალური კვლევა და ა.შ. LHC-ის ექსპერიმენტი მიმდინარეობს CERN-ში, ჟენევა, შვეიცარია. LHC მდებარეობს მიწის ქვეშ 50 - 175 მ-ის სიღრმეზე. ის არის წრიული ფორმის ამაჩქარებელი, რომლის სიგრძეა 27 კმ. ამაჩქარებლის გვირაბი დედამიწის ზედაპირის მიმართ დახრილია 1.4° -ით. მისი ძირითადი მიზნებია: სტანდარტული მოდელის ექსპერიმენტალური დადასტურება. სტანდარტული მოდელის დადასტურებისთვის საჭიროა, დიდი მასის მქონე Z ბოზონის და ჰიგსის ბოზონის ექსპერიმენტალურად აღმოჩენა. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების კვლევა LHC-ის ექსპერიმენტში პროტონების დაჯახების გზით მიმდინარეობს.

ATLAS-ის ექსპერიმენტში ერთერთი მთავარი მიმართულებაა ექსპერიმენტის სიმულაცია. სიმულაციის მიზანია ის, რომ რიგი ექსპერიმენტები ჩატარდეს არა რეალურ დეტექტორებზე, არამედ მათ მათემატიკურ მოდელებზე. სიმულაცია საშუალებას იძლევა გამოკვლეულ იქნეს დეტექტორში არ არსებული, თეორიული მოვლენები. ATLAS-ის ექსპერიმენტის სიმულაცია დაფუძნებულია Geant4 მოდელირების პაკეტზე.

წელიწადში დაახლოებით 5-7 მილიარდი ხელოვნური მოვლენის ფორმირება ხდება. და მათ დასამუშავებლად Geant4-ს სჭირდება 77 მლნ საათზე მეტი. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი პარამეტრია სიმულაციის წარმადობა. წარმადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიმულაციის პაკეტებში გამოყენებული ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიული აღწერები, რომლებიც დაპროგრამების სხვადასხვა

მეთოდებით არიან შექმნილი. თუ რა გავლენას ახდენს გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდები სიმულაციის პროცესის წარმადობაზე შესწავლილი არ არის და მისი გამოკვლევა წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას.

ATLAS-ის ექსპერიმენტის სიმულაციას გეომეტრიული აღწერები სხვადასხვა წყაროდან მიეწოდება და მათი დაპროგრამების რამდენიმე მეთოდი არსებობს. ისინი 3 ძირითად ნაწილად შეიძლება დაიყოს

1. CGS (Constructive Geometry Solids) - მყარი ტანის პრიმიტივების მეთოდები
2. პოლიგონ მეთოდები
3. Boolean ოპერატორები

ამ მეთოდებით შესაძლებელია შეიქმნას ცილინდრული, წახნაგოვანი ან შერეული ზედაპირების მქონე ობიექტები. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს გაირკვეს რა გავლენას ახდენს დაპროგრამების მეთოდები სიმულაციის წარმადობაზე, როგორც დამოუკიდებლად ასევე სხვადასხვა კომბინაციის შემთხვევაში.

კვლევის ობიექტი და მეთოდები

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდები. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: გეომეტრიული კლასიფიკაციის მეთოდი, კოდის სტრუქტურების ფორმალიზაციის მეთოდი, დაჯგუფების მეთოდი, საკონტროლო მაგალითების ტესტირების მეთოდი, სიმულაციის საცდელი სესიების შედეგების ანალიზის მეთოდი.

მეცნიერული სიახლე

1. გამოიყო ატლასის დეტექტორის გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების ტიპური კლასები და მეთოდები

2. წახნაგოვანი ობიექტების დაპროგრამებისათვის დადასტურდა, რომ პოლიგონ მეთოდები განაპირობებენ უკეთეს წარმადობას (CPU 8%, RAM 20%) ვიდრე CGS მეთოდები

3. ცილინდრული ობიექტებისათვის დადგინდა, რომ დაპროგრამების მეთოდების ცვლილებით წარმადობა მნიშვნელოვნად არ იცვლება (4%)

4. დადგინდა, რომ კომბინირებული ობიექტებისათვის პოლიგონ დაპროგრამების მეთოდებს უკეთესი წარმადობა აქვთ ვიდრე CGS მეთოდებს და ეს სხვაობა ობიექტების რაოდენობის პირდაპირპროპორციულია.

პრაქტიკული მნიშვნელობა.

1. შეიქმნა ატლასის დეტექტორის ტიპური გეომეტრიული აღწერების ბიბლიოთეკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ატლასის დეტექტორის გეომეტრიული მოდელის აგება

2. გეომეტრიული აღწერების ბიბლიოთეკისთვის დამუშავდა გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდები - ცილინდრული კლასისთვის 29, წახნაგოვანი კლასისთვის 135 და კომბინირებული კლასისთვის 252

3. შეიქმნა სიმულაციის წარმადობის შესწავლის საკვლევი ინფრასტრუქტურა

4. გამოვლენილ იქნა Tube მეთოდის ეფექტურობა ცილინდრული ობიექტების დაპროგრამების ამოცანებისათვის

5. გამოვლენილ იქნა Arbitrary_Polygon მეთოდის ეფექტურობა წახნაგოვანი ობიექტების დაპროგრამების ამოცანებისათვის

6. გამოვლინდა უმნიშვნელო სხვაობა Cube და Pyramid მეთოდებს შორის როგორც წახნაგოვანი, ასევე კომბინირებული ობიექტების დაპროგრამების ამოცანებისათვის

7. განხორციელდა დაპროგრამების მეთოდების რანჟირება რისთვისაც განხორციელდა მეთოდების დაჯგუფება და განისაზღვრა დაპროგრამების მეთოდების რეიტინგი წარმადობის თვალსაზრისით.

სამუშაოს აპრობაცია.

მეთოდის აპრობაცია ჩატარდა ატლასის დეტექტორის ერთერთი ქვესისტემის „მცირე თვალი“ New Small Wheel (NSW) დაპროგრამების ამოცანაზე. მიღებული შედეგების განვრცობით მთლიანად ატლასის დეტექტორის ყველა ქვესისტემისთვის განისაზღვრა მოსალოდნელი ეფექტურობა - CPU-თვის 62% და RAM-თვის 70%.

კვლევის შედეგები განხილულ იქნა შემდეგ სამეცნიერო კონფერენციაზე:

1. "საინფორმაციო საზოგადოება და განათლების ინტენსიფიკაციის ტექნოლოგიები" - ISITE'21. თბილისი, საქართველო, 20-22 მაისი, 2021

დისერტაციის თემატიკაზე გამოქვეყნდა 3 სტატია:

1. Alexander Sharmazanashvili, Besik Kekelia. Analysis of Geometry Description for Optimized Simulation Performance. *GESJ: Computer Science and Telecommunications 2021, No.1(59)*. გვ. 31-40
2. ბ. კეკელია. სატესტო მაგალითების ფორმირება ატლასის ექსპერიმენტის სიმულაციის ამოცანებისათვის. *საქართველოს საინჟინრო სიახლენი, Georgian Engineering News, №1, 2021*. გვ. 41-44
3. ბ. კეკელია. გეომეტრიული აღწერების მეთოდების გავლენა ატლასის ექსპერიმენტის სიმულაციის წარმადობაზე. *საქართველოს საინჟინრო სიახლენი, Georgian Engineering News, №1, 2021*. 36-40

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა.

სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს 5 თავს, ძირითად დასკვნებს, გამოყენებულ ლიტერატურას და 3 დანართს. დანართების გარეშე ნაშრომი არის 167 გვერდი.

თავი I: ATLAS-ის ექსპერიმენტის კომპიუტინგი


1.1 ბირთვული ფიზიკის პროექტები

ბირთვული ფიზიკის ექსპერიმენტები, დღეისათვის მსოფლიოში მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს. ჯამში 30000-ზე მეტი ამაჩქარებელი არის აღრიცხული [1]. მათ ამბიციური მიზნები გააჩნიათ. როგორცაა: სიმსივნური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა, დიდი აფეთქების თეორიის ექსპერიმენტალური კვლევა და ა.შ. მათ შორის რამდენიმე პროექტი არის აღსანიშნავი: LHC (The Large Hadron Collider), KEK (The High Energy Accelerator Research Organization), LINAC (Linear particle accelerator), COSY (Two-dimensional nuclear magnetic resonance spectroscopy), DESY (Deutsches Elektronen-Synchrotron) და ა.შ. აქედან კი თავისი მასშტაბებიდან და მიზნებიდან გამომდინარე გამორჩეულია LHC (The Large Hadron Collider).



სურ. 1 LHC-ის ამაჩქარებელი

LHC ნაწილაკების ფიზიკის ყველაზე დიდი ექსპერიმენტია მსოფლიოში [2]. ის მიმდინარეობს CERN (ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია, შვეიცარია, ჟენევა) - ში და მასში ჩართულია მსოფლიოს 36 ქვეყნის 608 უნივერსიტეტი. LHC-ის ამაჩქარებელი მდებარეობს შვეიცარიის და საფრანგეთის საზღვარზე, ის განთავსებულია წრიული ფორმის 26.7 კმ სიგრძის გვირაბში, მიწის ქვეშ 45-170მ-ის სიღრმეზე და ჰორიზონტალური მდგომარეობიდან 1.4°-ით დახრილია [3]. სურ.2. ამაჩქარებლის გვირაბში ტემპერატურა თითქმის აბსოლუტური 0-ის ტოლია და ის შეადგენს -271°C, ასეთი ტემპერატურის მისაღებად გამოიყენება 96 ტ ჰელიუმი. ეს



სურ. 2 LHC-ის ამაჩქარებელის სქემატური გეოლოგიური გეგმა

ტემპერატურა საჭიროა იმისათვის, რომ ასეთ პირობებში ყველაფერი კარგავს თავის თვისებას და ასევე წინაღობას, შედეგად შესაძლებელია სიგნალების და ელ. ენერგიის წინაღობის გარეშე გადაცემა. LHC-ის შექმნის ძირითადი მიზნებია:


1. სტანდარტული მოდელის ექსპერიმენტალური დადასტურება და აქედან გამომდინარე დიდი მასის მქონე Z ბოზონის და ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა
2. დიდი აფეთქების თეორიის ექსპერიმენტალური კვლევა
3. სუპერსიმეტრიის დადასტურება

LHC-ის ამაჩქარებელზე ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ხორციელდება პროტონების აჩქარება საბოლოოდ ისინი აღწევენ 14 GeV ენერგიას და შემდეგ წინააღმდეგ განსაზღვრულ ადგილებში ერთმანეთს ეჯახებიან [4], შედეგად კი წარმოიქმნებიან ახალი ნაწილაკები, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენს წამის 40/1000000 ნაწილს. მათი დაფიქსირება, გადაადგილების ტრაექტორიის დადგენა და ასევე მათი ენერგიების გაზომვა დეტექტორებში ხორციელდება. ნაწილაკების დეტექტირებისთვის სულ 7 დეტექტორი გამოიყენება [5][6], სოლო აქედან 4 ძირითადი დეტექტორია ესენია:

1. ATLAS (A Toroidal LHC AparaturuS)
2. CMS (Compact Muon Solenoid)
3. ALICE (A Large Ion Collider Experiment)
4. LHCb (LHC Beauty)

ისინი LHC ექსპერიმენტში დამოუკიდებელი ექსპერიმენტების სახით არიან წარმოდგენილები. დეტექტორები განკუთვნილია, პროტონების შეჯახების შემდეგ წარმოქმნილი ახალი ნაწილაკების და ჰიგსის ბოზონის აღმოსაჩენად. ATLAS-ის დეტექტორში ნაწილაკების კვლევა ძლიერ მაგნიტურ ველში ხორციელდება. CMS - ის დანიშნულება ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა და შავი მატერიის საკითხების კვლევაა. ATLAS-ის ექსპერიმენტისაგან განსხვავებით CMS-ში ნაწილაკების კვლევა მყარ სხეულებში მიმდინარეობს. ის ყველაზე მძიმე დეტექტორია და მისი წონაა 12,5 ათასი ტონა. ALICE - ის მიზანი არის, დიდი აფეთქების საკითხების კვლევა, ხოლო LHCb - ის შექმნის მიზანია, მატერიის და ანტი მატერიის კვლევა დიდი აფეთქების პირობებში და ასევე ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი CP სიმეტრიის დარღვევის შესწავლა. ნაწილაკების დაჯახების შედეგად სხვადასხვა ნაწილაკები წარმოიქმნება მაგ. მიონი, ელექტრონი, ფოტონი და ა.შ. და დეტექტორმა ყველა მათგანის დაფიქსირება უნდა შეძლოს. ამიტომ თითოეული დეტექტორი რამდენიმე ქვე-დეტექტორისგან შედგება, ქვე-დეტექტორები კონკრეტული ნაწილაკის აღმოჩენაზე არიან პასუხისმგებლები.

ATLAS-ის დეტექტორი ერთ-ერთი ყველაზე დიდი დეტექტორია



სურ. 3 ATLAS-ის დეტექტორი

ზემოთ აღნიშნულ ექსპერიმენტში სურ. 3. ის არის სიგრძით 45 მ და სიმაღლით 25 მ. წონა კი შეადგენს 7000 ტონას. დეტექტორი 4 ძირითადი სტრუქტურისგან შედგება ესენია: მაგნიტური სისტემა, შიდა დეტექტორი, კალორიმეტრების სისტემა და მიონების სისტემა. მაგნიტური სისტემა ქმნის


2 ტესლა მაგნიტურ ველს, რომელიც ძლიერ ურთიერთქმედებაში მყოფი ნაწილაკების გადახრისათვის გამოიყენება [7]. შიდა დეტექტორის დანიშნულებაა ელექტრულად დამუხტული ნაწილაკების აღმოჩენა, რომელთა სიცოცხლის ხანგძლივობა ძალიან მცირეა. კალორიმეტრების სისტემის დანიშნულებაა ნაწილაკების ენერგიების გაზომვა. მიონური სისტემა კი განკუთვნილია ნაწილაკის - მიონის აღმოსაჩენად. მიონებზე დეტექტორის სხვა სისტემები გავლენას ვერ ახდენს. მისი მთავარი მიზანი ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა იყო. 2012 წლის 4 ივლისს ATLAS და CMS ექსპერიმენტებმა ერთმანეთის დამოუკიდებლად პრაქტიკული და თეორიული კვლევების შედეგად აღმოაჩინეს ჰიგსის ბოზონი [8]. ATLAS-ის დეტექტორში ნაწილაკების დეტექტირების პროცესი სხვადასხვა IT ამოცანასთან არის კავშირში როგორცაა [7]: მონაცემების მიღება და დამუშავება და ფიზიკური პროცესების სიმულაცია.

1.2 ATLAS-ის ექსპერიმენტის პროგრამული უზრუნველყოფა

ATLAS-ის დეტექტორში პროტონების შეჯახების შედეგად მიიღება დიდი რაოდენობის ინფორმაცია - 15 პეტაბაიტი წამის განმავლობაში [9]. ტრიგერული სისტემების მიერ ხდება ამ ინფორმაციის გაფილტვრა ონლაინ რეჟიმში და შედეგად მიღებული ინფორმაცია (წამში 300 მბ) ინახება მონაცემთა ბაზებში. სწორედ ეს ინფორმაცია არის საინტერესო ფიზიკოსებისათვის, რომლის დამუშავებაც ხდება Athena-ში. Athena არის ATLAS-ის ექსპერიმენტის offline პროგრამული უზრუნველყოფა. ის დაფუძნებულია GAUDI-ის ფრეიმვორკზე [10]. GAUDI არის პროგრამული არქიტექტურა, რომელიც გამოიყენება მაღალი ენერგიების ფიზიკის ექსპერიმენტის მონაცემთა დამუშავების აპლიკაციების შესაქმნელად და განსავითარებლად. GAUDI-ის ფრეიმვორკი დაყრდნობილია CLHEP (short for A Class Library for High Energy Physics) C++ ბიბლიოთეკაზე. ის შექმნილია სპეციალურად მაღალი ენერგიების ფიზიკის პროგრამული პაკეტებისათვის. აღნიშნული ბიბლიოთეკა წარმოადგენს კლასებს მათემატიკური

გამოთვლების დაპროგრამებისათვის, ფსევდო რიცხვების გენერირებისთვის, წრფივი ალგორითმების და მაღალი ენერჯის ფიზიკის სიმულაციისა და ანალიზისათვის [11].

Athena-ს ფრეიმვორკი (სურ. 4) შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:



სურ. 4 Athena-ს ფრეიმვორკი

Algorithm; Data object; Service; JobOptions; Tool; Auditors; Transient Store; Persistent Store; Converter. ეს კომპონენტები სამ ძირითად კლასში არიან გაერთიანებულები [8]:

1. ალგორითმები
2. მონაცემთა ობიექტები (Data object)
3. კონვერტორები

ალგორითმების კლასში გაერთიანებულები არიან სერვისები, ალგორითმები და დამხმარე აპლიკაციები. ალგორითმები - ეს არის C++ დაწერილი პროგრამული კოდები, სადაც წინასწარ არის განსაზღვრული დავალების შესრულების თანმიმდევრობა. ალგორითმები იღებენ შესასვლელ ინფორმაციას, ასრულებენ და აგენერირებენ გამომავალ ინფორმაციას, რომელსაც მონაცემთა ობიექტები ეწოდება. სერვისები - არის პროგრამების ერთობლიობა რომლებიც ასრულებენ სხვადასხვა სახის დავალებებს, როგორცაა: მესიჯის გამოტანა, ჰისტოგრამების გამოტანა და სხვ. მაგ. JobOptions სერვისი. ეს არის პითონის სკრიპტი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს Athena-ს მიაწოდოს თავისი ინსტრუქცია.

კიდევ ერთი მაგალითი არის Auditors, ეს არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მონიტორინგს უკეთებს Athena-ს ფრეიმვორკს, ის იყოფა 3 ნაწილად:

1. NameAuditor
2. ChronoAuditor
3. MemoryAuditor

NameAuditor - ის მოვალეობაა ალგორითმების დიაგნოსტიკა, შედეგად ფიქსირდება იმ ალგორითმების სახელი, სადაც ხარვეზი იქნება აღმოჩენილი. ChronoAuditor ახორციელებს პროცესორის დატვირთვის მონიტორინგს, ხოლო MemoryAuditor კი მეხსიერების კონტროლისთვის გამოიყენება. ის იძლევა გაფრთხილებას აღმოჩენილი დარღვევების შესახებ, როგორცაა მეხსიერების გადავსება და სხვ. დამხმარე აპლიკაციები - ეს არის პროგრამები, ფუნქციები, რომლებზეც წვდომა აქვს ყველა ალგორითმს, მაგ. ძიების ფუნქცია, წაშლის ფუნქცია. და ა.შ.

რაც შეეხება მონაცემთა ობიექტების კლასს აქ გაერთიანებული არიან Transient Store და Persistent Store. Transient Store არის სივრცე ოპერატიულ მეხსიერებაში, სადაც ხდება მონაცემთა ობიექტების შენახვა, რომლებიც შემდეგ ალგორითმებს უნდა გადაეცეს შესასრულებლად, ხოლო Persistent Store არის ადგილი დისკზე, სადაც ხდება მონაცემთა ობიექტების შენახვა.

Convertor-ები არის პროგრამული პაკეტი, რომლებიც Persistent Store -იდან კითხულობენ და აკონვერტირებენ ინფორმაციას სხვადასხვა ფორმატებში, მათ შორის გრაფიკულ ფორმატებშიც.

Athena-ს ფრეიმვორკის უპირატესობას განპირობებულია სერვისების მრავალფეროვნებით, რომლებიც ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის. ისინი ხელს უწყობენ კვლევის პროცესს და შედეგის პროდუქტიულობას.

1.3 ფიზიკური პროცესების სიმულაცია


ექსპერიმენტის სიმულაცია მნიშვნელოვანი პროცესია, გამომდინარე იქიდან, რომ თუ რეალური ექსპერიმენტის და სიმულაციის შედეგები ერთმანეთს დაემთხვევა რიგი ექსპერიმენტები შესაძლოა ჩატარდეს არა რეალურ დეტექტორებზე, არამედ მათ მათემატიკურ მოდელებზე. სიმულაცია საშუალებას იძლევა გამოკვლევულ იქნეს დეტექტორში არ არსებული, თეორიული მოვლენები, იგივე ივენთი. ივენთი არის პროტონების დაჯახება და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაცია. ასევე ნებისმიერ მეცნიერს აქვს შესაძლებლობა თავისი თეორიის ექსპერიმენტალური კვლევა განახორციელოს მათემატიკურ მოდელებზე.

ATLAS-ის ექსპერიმენტის სიმულაციის პროცესი დაფუძნებულია Geant4 (Geometry and Tracking) მოდელირების პაკეტზე [12][13]. Geant4 არის პლატფორმა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სხვადასხვა სიმკვრივის ობიექტებში ნაწილაკების გავლის პროცესის მოდელირება მონტე-კარლოს მეთოდების გამოყენებით. ეს არის ალგორითმების ფართო კლასი, რომლებიც რიცხვითი შედეგების მისაღებად იყენებენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპს [14]. პროტონების დაჯახების შედეგად წარმოქმნილი ნაწილაკები გადიან დეტექტორის გეომეტრიაში და იცვლიან მოძრაობის ტრაექტორიას, Geant4-ში კი სწორედ ამ პროცესის მოდელირებაა შესაძლებელი. ამისათვის მას სჭირდება დეტექტორის გეომეტრიული აღწერები და ივენთები. Geant4, როგორც მოდელირების პაკეტი სხვადასხვა სფეროში გამოიყენება, როგორცაა [15]: მაღალი ენერგიების ფიზიკის ექსპერიმენტები, კოსმოსი, მედიცინა და ა.შ.

Geant4, როგორც სიმულაციის ინსტრუმენტი გამოიყენება მაღალი ენერგიების შემდეგ პროექტებში: BABAR, ATLAS, CMS, ALICE, Fermilab, ILC, HARP და ა. შ.


BABAR ექსპერიმენტი მიმდინარეობს SLAC ის ეროვნული ამაჩქარებლის ლაბორატორიაში და მონაწილეობს 500-ზე მეტი ფიზიკოსი და

ინჟინერი სურ.5. მისი ძირითადი მიზანია CP სიმეტრიის დარღვევის



სურ. 5 BABAR დეტექტორი


სისტემური შესწავლა და ასიმეტრია B მეზონების დაშლაში [16]. BABAR ექსპერიმენტში 2 სახის სიმულაცია გამოიყენება და დამყარებულია Geant4-ის მოდულზე BOGUS ის იმიგრება, როგორც BaBar Object-oriented Geant4-based Unified Simulation [17]. ექსპერიმენტში გამოიყენება, სწრაფი სიმულაცია რომელსაც უწოდებენ ASLUND და სრული სიმულაცია - BBSIM. ეს უკანასკნელი იყენებს დეტექტორის დეტალურ გეომეტრიულ აღწერებს და ივენტებს, რომლებიც წარმოიქმნებიან ივენტ გენერატორების მიერ. ისინი ინტეგრირებულნი არიან Geant4-ში. შემდეგ ხდება ე.წ hit-ების ფორმირება. hit არის დეტექტორის და ნაწილაკის ურთიერთქმედების შედეგად მიღებული სიგნალები. ამ ექსპერიმენტში მათ უწოდებენ GHit-ს. შემდგომ



სურ. 6 BABAR ექსპერიმენტის სიმულაციის სქემა

ეტაპზე კი ხდება დიჯიტიზაცია. ეს არის პროცესი როცა ხდება GHit-ების კონვერტაცია რეალური ექსპერიმენტიდან მიღებული ინფორმაციის ფორმატის მსგავს ფორმატში. BABAR ექსპერიმენტის სიმულაციის სქემა მოცემულია სურ. 6-ზე.


Geant4-ზე არის დაფუძნებული ასევე ALICE ექსპერიმენტის სიმულაცია. ALICE ექსპერიმენტი LHC-ზე მიმდინარე ექსპერიმენტებიდან ერთერთია სურ.7. BARBAR-ის ექსპერიმენტის მსგავსად ALICE-ის



სურ. 7 ALICE-ის დეტექტორი

ექსპერიმენტის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს CP სიმეტრიის დარღვევის სისტემური შესწავლა. ALICE არის ზოგადი დანიშნულების მძიმე იონების დეტექტორი [18].

ALICE ექსპერიმენტის სიმულაცია მიმდინარეობს AliRoot-ში. ის არის პროგრამული უზრუნველყოფა სიმულაციისთვის. მისი ერთ-ერთი კომპონენტია VMC (The Virtual Monte Carlo)-ში სურ. 8. [19]. ის წარმოადგენს ინტერფეისს, მომხმარებლის კოდის შესაქმნელად. ის ასევე უზრუნველყოფს ინტერფეისს დეტექტორის გეომეტრიული აღწერების შესაქმნელად. VMC კონცეფციის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ გეომეტრიული აღწერები არ არის ინტეგრირებული სხვა კომპონენტებთან და მისი გამოყენება Geant-ს და FLUKA-ს შეუძლიათ დამოუკიდებლად. რაც შეეხება კონკრეტულად სიმულაციის პროცესს, BARBAR ექსპერიმენტის სიმულაციის მსგავსად აქაც



სურ. 8 VMC კონცეფციის სქემა


ხდება ივენთების წარმოქმნა გენერატორების მიერ, შემდეგ Hit-ების ფორმირება, შემდეგ დიჯიტიზაცია და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა Geant4 როგორც სიმულაციის პაკეტი გარდა ბირთვული ფიზიკის პროექტებისა გამოიყენება კოსმოსურ პროექტებში, ევროპული კოსმოსური სააგენტოს მიერ, სტანფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროექტში GLAST (The Gamma ray Large Area space Telescope) [20]. 10 წლის წინ Geant ორიენტირებული იყო ძირითადად მაღალი ენერგიების ფიზიკის ექსპერიმენტებზე. დღეს უკვე კარგად არის ადაპტირებული კოსმოსურ ექსპერიმენტებზეც. განსაკუთრებით, კოსმოსური მისიების საფრენი აპარატების და ზოგადი დანიშნულების ინსტრუმენტების სიმულაციისათვის.

Geant4 აქტიურად გამოიყენება ასევე მედიცინის მიმართულებით [15]. სამედიცინო სფეროში რამდენიმე კარგად ცნობილი სიმულაციის აპლიკაცია არსებობს, რომლებიც Geant4-ის ბაზაზე არია შექმნილები: G4DNA არის Geant4-ზე დაფუძნებული სიმულაციის აპლიკაცია რადიობიოლოგიის მიმართულებით. GAMOS (Geant4-based Architecture for Medicine-oriented Simulation) - ეს არის Geant4-ზე დაფუძნებული არქიტექტურა მედიცინაზე ორიენტირებული სიმულაციისთვის. GATE – არის პროგრამული უზრუნველყოფა რომელიც განკუთვნილია სამედიცინო გამოსახულებისა და სხივური თერაპიის სიმულაციისათვის. ის დაფუძნებულია Geant4-ზე. GHOST არის რესურსი, რომელიც გამოიყენება ონკოლოგიური დაავადებების სიმულაციისათვის. ისიც Geant4-ზეა დაფუძნებული.


Geant4-ში მიმდინარეობს ATLAS-ის დეტექტორის სიმულაცია, გამოიყენება ორი სახის სრული და სწრაფი სიმულაცია.

სრული სიმულაცია ხორციელდება Geant4-ში და ის იყენებს დეტექტორის ზუსტ და დეტალურ გეომეტრიულ აღწერებს. სურ. 9-ზე წარმოდგენილია ატლასის სრული სიმულაციის სქემა და ის მოიცავს 5 ეტაპს ესენია: MC ივენთების გენერირება, დეტექტორის სიმულაცია, დიჯიტიზაცია, რეკონსტრუქცია და ფიზიკური ანალიზი.



სურ. 9 ატლასის სრული სიმულაციის სქემა

ატლასის სიმულაციის event გენერატორები სიმულაციის პირველ ეტაპზე მუშაობენ. მონტეკარლოს ალგორითმები - ივენთ გენერატორები სურ. 10 წარმოქმნიან ხელოვნურ ივენთებს. სულ ATLAS-ის სიმულაციაში 40-მდე ასეთი გენერატორი არსებობს [22]. წარმოქმნილი ივენთები ინახება EVGEN ფორმატში, რომელიც შემდეგ დეტექტორის სიმულაციაში




სურ. 10 ატლასის სრული სიმულაციის სქემა

გამოიყენება. მაგალითისათვის Pythia გენერატორის საშუალებით შესაძლებელია დადებითად და უარყოფითად დამუხტული ელექტრონების, ასევე პროტონის და ანტი პროტონის წარმოქმნა. fHerwing გენერატორის


საშუალებით ადრონების გენერაცია ხორციელდება. ხოლო Herwing++ ის მეშვეობით W და Z ნაწილაკების წარმოქმნა.

შემდგომი ეტაპია დეტექტორის სიმულაცია. ATLAS-ის რეალური ექსპერიმენტში ნაწილაკის და დეტექტორის მგრძნობიარე სტრუქტურების ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება ელექტრული იმპულსები [23][26]. ისინი გარდაიქმნება რიცხვით ByteStream ფორმატში. სიმულაციაში კი, დეტექტორის და ნაწილაკის ურთიერთქმედების შედეგად ელექტრული იმპულსის ნაცვლად იქმნება HITS-ები (სურ. 11). ამ დროს ხორციელდება




სურ. 11 Calorimeter-ში დაფიქსირებული ჰიტები ერთ-ერთი მოვლენისთვის ნაწილაკის საწყისი ენერგიის წარმოქმნა, გადახრის კუთხის და სხვა გეომეტრიული პარამეტრების შესახებ ინფორმაციები და იწერება HITS ფორმატში, ფაილის ზომა თითოეული მოვლენისთვის არის ასობით კილობაიტი.

HITS ფორმატი მხოლოდ სიმულაციაში არსებობს და აქვს ByteStream ფორმატისგან განსხვავებული ფორმატი, რადგან არ შეიცავს ინფორმაციას ფიზიკური პარამეტრების შესახებ, ამიტომ დღის წესრიგში დგება დიჯიტიზაციის ამოცანა (სურ. 12), ამ დროს ხდება HITS ფორმატის კონვერტაცია რიცხვით ფორმატში და ფიზიკური პარამეტრების ფორმირება. შედეგად იქმნება RDO (Row Data Objects) ფორმატის ინფორმაცია, რომელიც სრულად ByteStream - ის შესაბამისია.



სურ. 13 დიგიტიზაცია


დიჯიტიზაციის შემდგომ აქტუალური ხდება რეკონსტრუქციის ამოცანა (სურ. 13). აქ მოცემულია ერთ-ერთი მოვლენის რეკონსტრუქციის



სურ. 12 რეკონსტრუქცია

შედეგები, კერძოდ თუ რა კვალი დატოვა ნაწილაკმა Silicon Detector-ში და TRT-ში გავლის შემდეგ. რეკონსტრუქციის ეტაპზე, შესაბამისი ალგორითმების მიერ, RDO ინფორმაციის დამუშავების შედეგად შესაძლებელი ხდება დადგინდეს ნაწილაკის ტრაექტორია, გაიზომოს მისი იმპულსი და ენერგია, ასევე შესაძლებელი ხდება ნაწილაკის იდენტიფიკაცია. რეკონსტრუქციის შედეგად ინფორმაცია იწერება ESD (Event Summary Data) ფორმატში. ეს ინფორმაცია ხანგძლივი შენახვისთვის არ გამოიყენება და ხდება ანალიზისთვის საჭირო AOD (Analysis Object Data) ფორმატის ფაილის ფორმირება. ეს ფაილი შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას რომელიც ფიზიკური ანალიზის ჩატარებისათვისაა საჭირო.

ATLAS-ის ექსპერიმენტის სიმულაციისთვის, გარდა სრული სიმულაციისა, ასევე გამოიყენება სწრაფი სიმულაცია. სრული სიმულაცია, სრულად Geant4-ში მიმდინარეობს. სწრაფ სიმულაციას კი თავის ძრავები აქვს ესენია [24]: FastCaloSim და Fatras. FastCaloSim გამოიყენება Calorimeter-ის სიმულაციისათვის, ხოლო Fatras კი Inner Detector-ის სიმულაციისათვის. FastCaloSim იყენებს პარამეტრიზებულ ინფორმაციას, რომელსაც იღებს სრული სიმულაციის შედეგებიდან, Fatras კი იყენებს ძალიან გამარტივებულ Inner Detector-ის გეომეტრიულ აღწერებს. შეიძლება სიმულაციის 3 ძრავის კომბინირება, Geant4 და FastCaloSim-ის კომბინაციას ეწოდება ATLFASTII. ATLFASTII ფრეიმვორკის გამოყენებისას სიმულაციის პროცესი საგრძნობლად ჩქარდება, Geant4-ს 10 მოვლენის დასამუშავებლად სჭირდება 560 წმ, ხოლო ATLFASTII-ის შემთხვევაში კი 100 მოვლენის დამუშავებას 25 წმ სჭირდება [25]. შესაძლებელია ასევე ATLFASTII და Fatras-ის კომბინაცია, მას ATLFASTIIF-ს უწოდებენ. ასეთი კომბინაციებით მიიღება ინტეგრირებული სიმულაციის ფრეიმვორკი (ISF) სურ.14. ATLFASTIIF ფრეიმვორკი არის ძალიან სწრაფი. 1000 მოვლენის დამუშავებას ანდომებს 0,75 წმ-ს.



სურ. 14 ინტეგრირებული სიმულაციის ფრეიმვორკი (ISF)

ინტეგრირებული სიმულაციის ფრეიმვორკი მუშაობს შემდეგნაირად: სრული სიმულაცია ყველა დეტექტორისთვის მიმდინარეობს Geant4-ში. ATLFASTII ფრეიმვორკის გამოყენების დროს Inner Detector-ის სიმულაცია მიმდინარეობს Geant4-ში, Calorimeter-ების შემთხვევაში muons-ის ნაწილაკის სიმულაცია Geant4-ში, ხოლო სხვა

დანარჩენის FastCaloSim-ში მიმდინარეობს. Muon Spectrometer-ის სიმულაცია, ხორციელდება Geant4-ში. ATLFASIIIF ფრეიმვორკის გამოყენების შემთხვევაში, Inner Detector-ის სიმულაცია მიმდინარეობს Fatras-ში, Calorimeter-ების - FastCaloSim-ში, გარდა muons-ის ნაწილაკისა. მისი სიმულაცია ხდება Fatras-ში. Muon Spectrometer-ის სიმულაცია კი ხდება

- **Full Geant4**
G4 –ში ყველა დეტექტორი
- **ATLFASII**
ID: Geant4
Calo: Geant4 muons-ისთვის, FastCaloSim დანარჩენისთვის
MS: Geant4
- **ATLFASIIIF**
ID: Fatras
Calo: Fatras muons -ისთვის, FastCaloSim დანარჩენისთვის
MS: Fatras


სურ. 15 ISF-ის მუშაობის პრინციპი

Fatras-ში. ეს პროცესი სქემატურად შემდეგნაირად გამოიყურება (სურ.15)

1.4 ATLAS-ის სიმულაციის ინფრასტრუქტურა GEANT4-ის ბაზაზე

Geant4 სიმულაციისთვის იყენებს ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიულ აღწერებს. ისინი 2 ნაწილადაა დაყოფილი. 1-ლი, სტრუქტურები რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ნაწილაკის აღმოჩენაში, მათ აქტიური კომპონენტები ეწოდებათ და მე-2 დეტექტორის სხვა დანარჩენი დამხმარე სტრუქტურები, როგორცაა: სერვისები, პლატფორმები, და ა.შ. მათ პასიურ კომპონენტებს უწოდებენ. ეს სტრუქტურები აუცილებელია იმისათვის, რომ მუშაობა შეძლონ აქტიურმა კომპონენტებმა.

ATLAS-ის დეტექტორის პასიური კომპონენტები აღწერილია AGDD (ATLAS Generic Detector Description) ენაში და შენახულია XML ფორმატში [27] [28]. ის რამდენიმე ასეულ კომპონენტს შეიცავს, ხოლო რაც შეეხება აქტიურ კომპონენტებს ის დაყოფილია სამ ნაწილად: Muon Spectrometer, Calorimeter, Inner Detector და აღწერილია C++ ენის გამოყენებით GeoModel-ში სურ.16.



სურ. 16 გეომეტრიული აღწერების სიმულაციის მიწოდების ჯაჭვი


GeoModel არის ინსტრუმენტი და ასევე ბიბლიოთეკა, რომელიც შექმნილია სპეციალურად დეტექტორის გეომეტრიული აღწერების შესაქმნელად [31]. GeoModel-ში აღწერილია, მხოლოდ სემანტიკური მხარე, რაც შეეხება რიცხვით მნიშვნელობებს, ისინი განთავსებულია Oracle-ის მონაცემთა ბაზაში. ის არის რელაციური მონაცემთა ბაზა. რელაციური მოდელი გულისხმობს იმას, რომ ცხრილში განთავსდება ინფორმაცია, მხოლოდ ერთი ლოგიკური ობიექტის შესახებ და ეს ობიექტები ერთმანეთთან დაკავშირებულები იქნებიან ამ ცხრილშივე განთავსებული ინფორმაციის საშუალებით. დეტექტორის აქტიური სტრუქტურები შედგება დაახლოებით 1021500 კომპონენტისგან ცხრ.1 [13].

detector	number of volumes	comments
Pixel	6000	
SCT	40500	
TRT	300000	parameterized
LAr	142500	parameterized
Tile	80500	parameterized
Muon Chambers	451000	parameterized
Toroids	1000	

ცხრ. 1 GeoModel-ში აღწერილი კომპონენტების რაოდენობა


ATLAS-ის დეტექტორის აქტიური კომპონენტების მონაცემთა ბაზა 1 სქემისგან შედგება. ის შეიცავს 900 ცხრილს და 5 მილიონ ხაზს. ინფორმაციის მთლიანი მოცულობაა 0.1 გბ. ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიის რიცხვითი პარამეტრები დაჯგუფებულია ATLAS-ის დეტექტორის

ქვესისტემებში და სტრუქტურებში [32]. სტრუქტურები კი ლოგიკურად დაჯგუფებულია დირექტორიებში. თითოეული დირექტორია შეიცავს რამდენიმე სტრუქტურას. ასე იქმნება გარკვეული იერარქია. იერარქიულ სისტემებში (HVS - Hierarchical Versioning System) დირექტორიებს ეწოდებათ „Branch node“, ხოლო სტრუქტურებს კი „Leaf nodes“. ორივე იწოდება როგორც



სურ. 17 ATLAS-ის დეტექტორის აქტიური კომპონენტების მონაცემთა ბაზა ტაგი. სურ. 17-ზე მარცხენა მხარეს წარმოდგენილია Branch და Leaf node-ები. ხოლო სურ. 17-ის მარჯვენა მხარეს წარმოდგენილია, მონიშნულ Leaf node-ში არსებული მონაცემები.


ATLAS-ის გეომეტრიის აქტიური სტრუქტურების მონაცემთა ბაზა 2 ნაწილად არის დაყოფილი სურ.18 [10], პირველი ეს არის იერარქიული



სურ.18 აქტიური კომპონენტების მონაცემთა ბაზის სტრუქტურა სისტემების კომპონენტები (HVS), რომლებიც ახორციელებენ დეტექტორის

რიცხვითი პარამეტრების ლოგიკურ კავშირებს HVS node-ებში და მეორე მონაცემების კომპონენტები, რომლებიც შეიცავენ დეტექტორის გეომეტრიული აღწერების რიცხვით პარამეტრებს. თავის მხრივ HVS კომპონენტები 3 ცხრილისგან შედგება:

1. HVS_NODE
2. HVS_TAG2NODE
3. HVS_LTAG2LTAG



სურ. 19 HVS-ის კომპონენტები

HVS_NODE (სურ.19) ცხრილი შეიცავს ინფორმაციას მონაცემთა ბაზაში არსებული ყველა node-ის შესახებ და ასევე დეტექტორის გეომეტრიული სტრუქტურების იერარქიული კავშირის შესახებ ინფორმაციას. HVS_TAG2NODE ცხრილი შეიცავს ინფორმაციას ტაგების შესახებ თითოეული HVS NODE-ისთვის და HVS_LTAG2LTAG ცხრილები შეიცავენ ინფორმაციას ტაგებს შორის იერარქიის შესახებ.

რაც შეეხება Leaf Node-ს ის 2 ცხრილისგან შედგება პირველი ეს არის მონაცემთა ცხრილი (სურ.20) სადაც თავმოყრილია ყველა რიცხვითი

Tag: CavernElements-04, created: (raze unstrony)
 Status: LOCKED, 25-Jan-2012 19:57:32
 Comment: Based on CavernElements-02. Attempt to clean up CavernInfraGeoModel code

მონაცემთა ცხრილი

CAVERNLEMENTS_DATA_ID	ELEMENT	XPOS	YPOS	ZPOS	XROTATE	YROTATE	ZROTATE	HALFLENGTH	HALFWIDTH
	long	string	double	double	double	double	double	double	double
01	Point1Cylinder		1.7	-41		1.5576		21.5	
06	RockCylinder		1.7	-34.5		1.5576			
07	WallACConc								
08	BoxConc							30	30
09	VaultConc			-1.25		-1.57			
10	HallConc							21.5	17
11	SurfaceFloor		-8.7	84.25				42.3	44
12	BoxConcW			37.18		-0.785			
13	BoxConcVleft			43.43		-0.785			

სურ. 20 Leaf Node-ის კომპონენტები

პარამეტრი და მეორე ცხრილი სადაც არის ინფორმაცია მონაცემთა ცხრილებსა და HVS-ის კომპონენტებს შორის კავშირების შესახებ.

```

#include "TileGeoModel/TileAtlasFactory.h"
#include "TileDetDescr/TileDetDescrManager.h"
#include "TileDetDescr/TileDetDescriptor.h"
#include "TileGeoModel/TileGeoSectionBuilder.h"
#include "TileGeoModel/TileGeoCutBuilder.h"
#include <stdexcept>
#include <iostream>
#include <iomanip>
#include <algorithm>
#include <cmath>
#include <string>

using namespace Genfun;
using namespace GeoXF;

// Constructor:
TileAtlasFactory::TileAtlasFactory(StoreGateSvc *pDetStore,
                                   TileDetDescrManager *manager,
                                   bool addPlates,
                                   MagStream *log,
                                   bool fullGeo)
: detectorStore(pDetStore)
, detectorManager(manager)
, m_log(log)
, m_addPlatesToCellVolume(addPlates)
, m_testBeamGeometry(false)
, m_verbose(log->level() < MSG::VERBOSE)
, m_fullGeo(fullGeo)

// Destructor:
TileAtlasFactory::~TileAtlasFactory() {}

// Creation of geometry:
void TileAtlasFactory::create(GeoPhysVol *world)

```

მონაცემთა ბაზასთან კავშირის ბიბლიოთეკა

სურ. 21 Tile Calorimeter-ის GeoModel-ის კოდის ფრაგმენტი

Oracle-ის მონაცემთა ბაზებში თავმოყრილი დეტექტორის გეომეტრიული აღწერების რიცხვითი პარამეტრების ინტერპრეტაცია ხორციელდება GeoModel-ის საშუალებით. GeoModel არის ინსტრუმენტი და ასევე ბიბლიოთეკა, რომელიც შექმნილია სპეციალურად დეტექტორის გეომეტრიული აღწერების შესაქმნელად. GeoModel-ში აღწერილია, მხოლოდ სემანტიკური მხარე (სურ 21). მონაცემთა ბაზასთან კავშირისთვის

```

// nominal position of end plate
zEndSection = ZLength[1]/2 - BFingerLength;

GeoTubs* GeneralMother = new GeoTubs(dbManager->GetEnvRin()*cm,
                                     dbManager->GetEnvRout()*cm,
                                     zEndSection,
                                     AnglMin, AnglMax);

```

სურ. 22 Tile Calorimeter-ის ერთ-ერთი კომპონენტის GeoModel-ის კოდის ფრაგმენტი გამოიყენება ფუნქცია, რომელიც აღწერილია TileDetDescrManager-ში მაგალითისთვის განვიხილოთ Tile Calorimeter-ის ერთ ერთი კომპონენტი TileGlobals. სურ. 22-ზე ნაჩვენებია მისი GeoModel-ის კოდი. მონიშნულია ის ადგილი სადაც რიცხვითი პარამეტრის მისაღებად მიმართვა ხდება მონაცემთა ბაზისათვის. ამ დროს აქტიურდება dbmanager ფუნქცია, რომელიც იძახებს GetEnvRin და GetEnvRout ფუნქციას (სურ. 22). სურ.23-ზე

მონიშნულია GetEnvRin და GetEnvRout ფუნქციების შესაბამისი RIN და ROUT რიცხვითი პარამეტრები მონაცემთა ბაზაში.

ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიული აღწერების შესაქმნელად GeoModel იყენებს GeoModelKernel კლასს [33][34]. სადაც აღწერილია გეომეტრიის ყველა ის კლასი რომელიც საჭიროა პრიმიტივებია დასაპროგრამებლად. GeoModel-ში დეტექტორის გეომეტრიის მასალის მისანიჭებლად გამოიყენება 2 კლასი: GeoElement და GeoMaterial. GeoElement კლასში აღწერილია ქიმიური ელემენტები, სახელის, ქიმიური სიმბოლოს, სიმკვრივის, მისი ატომური ნომერის და წონის გათვალისწინებით თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ წამოდგენილია წყალბადის და ჟანგბადის კოდების GeoModel-ში:

```
GeoElement *hydrogen = new GeoElement("Hydrogen", "H", 1.0, 1.010);
```

```
GeoElement *oxygen = new GeoElement("Oxygen", "O", 8.0, 16.0);
```

რაც შეეხება GeoMaterial-ს, ის არის კლასი, სადაც თავმოყრილია ქიმიური ელემენტების სია, რომლებიც შედგენილი მატერიალების შესაქმნელად გამოიყენება მაგალითად განვიხილოთ წყალი ქვემოთ მოცემული მისი კოდი სურ. 24:

```
double TileDddbManager::GetEnvRin() const
{
    if (currentTileGlob) {
        return currentTileGlob->getDouble("RIN");
    }
    else {
        std::cerr << "\nTileDddbManager ERROR! Current Envelope not set, returning -999\n";
        return -999;
    }
}

double TileDddbManager::GetEnvRout() const
{
    if (currentTileGlob) {
        return currentTileGlob->getDouble("ROUT");
    }
    else {
        std::cerr << "\nTileDddbManager ERROR! Current Envelope not set, returning -999\n";
        return -999;
    }
}
```

სურ. 23 Tile Calorimeter-ის ერთ-ერთი კომპონენტის GeoModel-ის კოდის ფრაგმენტი

```
water->add(hydrogen,0.11);
```

TILEGLOBALS_DATA_ID	PART	NAM	SIDE	NMODULES	RIN	ROUT	ZLENGTH	DX	DY	DZ	DPHI	DPSI	DTHETA	ZSHIFT
0	1	LB	0	64	228.8	425	650.1	0	0	0	0	0	0	0
1	2	EBC	-1	64	228.8	425	296.75	0	0	0	0	0	0	4
2	3	EBA	1	64	228.8	425	296.75	0	0	0	0	0	0	4
3	4	ITCC	-1	64	146.5	425	30.9	0	0	0	0	0	0	4
4	5	ITCA	1	64	146.5	425	30.9	0	0	0	0	0	0	4

სურ. 24 TileGlobals -ის მონაცემთა ბაზის ფრაგმენტი

```
water->add(oxygen,0.89);
water->lock();
```


add მეთოდი უზრუნველყოფს ელემენტის დამატებას და მის წილს ამა თუ იმ მასალაში, კოდიდან ჩანს, რომ, რომ წყლის მისაღებად 0.11 ნაწილი წყალბადი და 0.89 ნაწილი ჟანგბადი გამოიყენება.

GeoBox	Box
GeoCons	Cone Section
GeoPara	Parallelepiped
GeoPcon	Polycone
GeoPgon	Polygon
GeoTrap	Trapezoid (complex)
GeoTrd	Trapezoid (simple)
GeoTube	Tube
GeoTubs	Tube Section

ცხრ. 2 GeoModel-ში არსებული პრიმიტივები

პრიმიტივების აღწერისათვის GeoModelKernel-ში გამოიყენება Shapes კლასი. აქ თავმოყრილია პრიმიტივების აღწერის ყველა მეთოდი. ცხრ.2-ში წარმოდგენილია ყველა ის პრიმიტივი რომლის აღწერაც GeoModel-ში არის შესაძლებელი.

GeoBox მეთოდი გამოიყენება პრიზმის შესაქმნელად (სურ.25) და მისი სემანტიკა გამოიყურება შემდეგნაირად:



სურ. 25 Box პრიმიტივი GeoModel-ში

GeoBox (double XHalfLength, double YHalfLength, double ZHalfLength)


სადაც მას მიეწოდება განახევრებული რიცხვითი პარამეტრები სიგრძე, სიმაღლე და სიგანე

შესაბამისად X,Y და Z ღერძებზე. GeoModel-ში ნებისმიერი პრიმიტივის ასაგებად, გამოიყენება

განახევრებული ზომების რიცხვითი პარამეტრები.

შემდეგი პრიმიტივია GeoCons - კონუსი (სურ.26). GeoModel-ში მისი სემანტიკური მხარე შემდეგნაირია:

GeoCons (double RMin1, double RMin2,
double RMax1, double RMax2,
double DZ, double SPhi, double DPhi)



სურ. 26 GeoCons
პრიმიტივი GeoModel-ში
აპროქსიმაცია და ა.შ.

კონუსის მისაღებად, კონსტრუქტორს მიეწოდებათ შემდეგი პარამეტრები: RMin1, RMin2, RMax1, RMax2, DZ, SPhi, DPhi. სადაც RMin1, RMin2, RMax1, RMax2 არის შიდა და გარე რადიუსები, DZ არის სიმაღლე. SPhi, DPhi დამატებითი პარამეტრებია, როგორცაა


გეომეტრიის აღწერის შემდეგი მეთოდია GeoPara - პარალელებიპედი.

მისი კოდის სტრუქტურა შემდეგნაირია:

```
GeoPara (double XHalfLength, double YHalfLength, double ZHalfLength,
         double Alpha, double Theta, double Phi)
```

მას მიენიჭება შემდეგი რიცხვითი პარამეტრები: სიგრძე, სიგანე, სიმაღლე და დახრის კუთხეები.

კიდევ ერთი პრიმიტივი, რომელიც GeoModel-ში გამოიყენება არის



სურ. 27 GeoPcon
პრიმიტივი GeoModel-ში


GeoPcon (სურ.27). GeoPcon-ის სემანტიკური მხარე GeoModel-ში შემდეგნაირად გამოიყურება:

```
GeoPcon (double SPhi, double DPhi, double getZPlane, double
         getRMinPlane, double getRMaxPlane, )
```

ობიექტის ასაგებად უნდა მიეთითოს კუთხეები (SPhi- DPhi), თუ რა არეალში შეიქმნას ობიექტი და ასევე მიეწოდება Z0-იდან კონკრეტულ

მნიშვნელობაზე შიდა და გარე რადიუსები.

შემდეგი პრიმიტივი GeoModel-ში არის GeoPgon. ის არის GeoPcon ის



სურ. 28 GeoTrap პრიმიტივი
GeoModel-ში

მსგავსი მეთოდი და კოდის სტრუქტურაც მსგავსი:

```
GeoPgon (double SPhi, double DPhi, unsigned int NSides)
```


GeoModel-ში გამოიყენება ასევე GeoTrap - ტრაპეცია (სურ. 28) მისი GeoModel-ის კოდი

შემდეგნაირია:

```
GeoTrap (double ZHalfLength, double Theta, double Phi, double Dydzn, double
         Dxdyndzn, double Dxdypdzn, double Angleydzn, double Dydzp, double
         Dxdyndzp, double Dxdypdzp, double Angleydzp)
```

ტრაპეციის ფორმის ობიექტის ასაგებად შეიძლება მიწოდებულ იქნეს სხვადასხვა პარამეტრები როგორცაა: სიგრძე, კუთხეების სხვადასხვა ღერძების მიმართ და. ა.შ

შემდეგი არის GeoTube - ცილინდრი (სურ.29). მისი სემანტიკა შემდეგნაირია:




სურ. 29 GeoTube პრიმიტივი GeoModel-ში

GeoTube (double RMin, double RMax, double ZHalfLength)
 ობიექტის შესაქმნელად საჭიროა შიდა და გარე რადიუსების და სიმაღლის პარამეტრების მიწოდება და ბოლო არის GeoTubs - ამოჭრილი ცილინდრი (სურ. 30). მისი კოდი არის შემდეგნაირი:

GeoTubs (double RMin, double RMax, double ZHalfLength, double SPhi, double DPhi)

ობიექტის ასაგებად მეთოდ უნა მიეწოდოს შემდეგი პარამეტრები: კუთხეები



სურ. 30 GeoTubs პრიმიტივი GeoModel-ში

(SPhi- DPhi) თუ რა არეალში უნდა აიგოს გეომეტრია. ასევე შიდა და გარე (RMin -RMax) რადიუსები და სიმაღლე (ZHalfLength).


რთული გეომეტრიული

დასაპროგრამებლად საჭიროა Boolean ოპერაციები. ამისათვის გამოიყენება GeoShape

კლასში შემავალი რამდენიმე მეთოდი. ქვემოთ მოცემულია ობიექტში სხვა ობიექტის დამატების და ამოჭრის მაგალითი:

```
GeoShape *A, *B, *C;
const GeoShape & D = (*A). add((*B). subtract (*C));
```

აქ ხდება A ობიექტისათვის B ობიექტის დამატება და მიღებულიდან C ობიექტის ამოჭრა. GeoModel-ში ობიექტის საბოლოო პოზიციონირებისათვის გამოიყენება გადაადგილების ტრანზაქციები.




სურ. 31 Logical Volume-ის სტრუქტურა GeoModel-ში

მას შემდეგ რაც განხორციელდება ობიექტის შექმნა GeoModel-ში, ის უნდა განთავსდეს Logical Volume-ში (სურ.31). სადაც მას მიენიჭება სახელი და მასალა. მისი სემანტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

```
GeoLogVol (const std::string & Name, const GeoShape * Shape, const GeoMaterial * Material)
```

საბოლოოდ Logical Volume უნდა განთავსდეს Physical Volume-ში (სურ.32). GeoModel-ში ის შემდეგნაირად გამოიყურება:

```
GeoPhysVol (const GeoLogVol * LogVol)
```




სურ. 32 Physical Volume -ის სტრუქტურა GeoModel-ში

გეომეტრიის ასაგებად სხვადასხვა მეთოდებია გამოყენებული, როგორცაა: cube, tube, pyramid, cylinder, chain, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted, hybridized [29]. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

Cube (სურ. 33) - ამ მეთოდის სემანტიკა არის შემდეგნაირი:

```
<box name="Box" material="Aluminium" X_Y_Z="2500.; 2000.; 1500."/>
```




სურ. 33 დაპროგრამების მეთოდი cube

ამ მეთოდით ხდება სტანდარტული გეომეტრიული პრიმიტივის - პრიზმის დაპროგრამება, X,Y და Z არის პრიზმის სიგრძე, სიგანე და

სიმაღლე, კოორდინატა სისტემის

შესაბამისად. Material-ში ენიჭება მასალა, ხოლო box არის ობიექტის სახელი.

Tube (სურ. 34) - ამ მეთოდის სემანტიკა არის შემდეგნაირი:




სურ. 34 დაპროგრამების მეთოდი Tube

```
<tubs name="Tube" material="Iron"
Rio_Z="1000.; 1250.; 1500." profile="45.;225."
nbPhi="20"/>
```


ამ მეთოდით ხდება სტანდარტული გეომეტრიული პრიმიტივის - ცილინდრის დაპროგრამება. „Tube“ არის ობიექტის სახელი. Material-ში ხდება მასალის მინიჭება. Rio_Z-ში პირველი პარამეტრი არის შიდა რადიუსი, მეორე გარე რადიუსი და მესამე კი ცილინდრის სიმაღლე. Profile-ში ხდება ისეთი დამატებითი პარამეტრების მინიჭება, როგორცაა ცილინდრის აგების დაწყების და დასრულების კუთხეები. მაგალითად profile="45.;225 ნიშნავს, რომ ცილინდრის აგება დაიწყო 45 გრადუსზე და დასრულდეს 225 გრადუსზე. nbPhi-ში კი მოცემულია აპროქსიმაციის პარამეტრები. nbPhi="20" ნიშნავს, რომ ცილინდრის ფუძის წრეწირი აიგება 20 წერტილზე.


Pyramid (სურ. 35) - ამ მეთოდის სემანტიკა არის შემდეგნაირი:

```
<trd name="Pyramid" material="Aluminium" Xmp_Ymp_Z="2000.; 1000.; 2500.; 1250.; 1500.0" />
```



სურ. 36 დაპროგრამების მეთოდი Pyramid

ამ მეთოდით ხდება სტანდარტული გეომეტრიული პრიმიტივის - პირამიდის დაპროგრამება. "Pyramid" არის ობიექტის სახელი. Material-ში ხდება მასალის მინიჭება. Xmp_Ymp_Z-ში 1-ლი და მე-3 პარამეტრი არის პირამიდის ერთი ფუძის სიგრძე და სიგანე, ხოლო მე-2 და მე-4 პარამეტრი კი მე-2 ფუძის სიგრძე და სიგანე. მე-5 რიცხვითი პარამეტრი კი პირამიდის სიმაღლეა.



სურ. 35 დაპროგრამების მეთოდი Cylinder

Cylinder - ამ მეთოდით შეიძლება დაპროგრამდეს, როგორც სტანდარტული გეომეტრიული პრიმიტივები კონუსი და სფერო, ასევე არასტანდარტული ობიექტებიც. სურ. 36. ამ მეთოდის სემანტიკა შემდეგნაირია:

```
<pcon name="Cone" material="PolyBoron5percent" nbPhi="20">
```



```

<polyplane Rio_Z="1000.; 1250.; 750."/>
<polyplane Rio_Z=" 750.; 1000.; 0."/>
<polyplane Rio_Z=" 250.; 500.; -750."/>
</pcon>

```


„Cone“ არის ობიექტის სახელი. Material კი მისი მასალაა. NbPhi კი არის აპროქსიმაციის პარამეტრი. polyplane Rio_Z -ში ხდება ობიექტის რიცხვითი პარამეტრების მინიჭება. 1-ლი პარამეტრი არის შიდა რადიუსი, მე-2 პარამეტრი კი გარე რადიუსი. მე-3 პარამეტრი ობიექტის სიმაღლეა საკოორდინატო ცენტრიდან.

Chain - მეთოდით აგებული ობიექტი არ არის სტანდარტული გეომეტრიული ობიექტი. მისი საშუალებით ხდება ცილინდრული ობიექტის შექმნა. სურ.37. მისი სემანტიკა შემდეგნაირია:

```

<snake name="Chain" material="Brass" radius="300." nbPhi="20">
<snake_point X_Y_Z="-750.; -750.; -750." />
<snake_point X_Y_Z="-750.; -750.; 500." />
<snake_point X_Y_Z="-750.; 750.; 500." />
<snake_point X_Y_Z=" 750.; 750.; 500." />
</snake>

```



სურ. 37 დაპროგრამების მეთოდი Cylinder

"Chain" არის ობიექტის სახელი. მატერიალში კი მასალაა მინიჭებული. Radius-ში მითითებულია ცილინდრული ობიექტის რადიუსი. NbPhi კი აპროქსიმაციის პარამეტრია. snake_point X_Y_Z-ში კი წერტილის X, Y და Z კოორდინატია ჩაწერილი.

ამ მაგალითში მოცემულია 4 წერტილის კოორდინატი რაც ნიშნავს იმას, რომ chain-ის აგება მოხდება 4 წერტილზე შექმნილ პოლიგონზე.

Arbitrary polygon (სურ. 38) არც ამ მეთოდით აგებული ობიექტი არის სტანდარტული გეომეტრიული ობიექტი.

ამ მეთოდის სემანტიკა არის ასეთი:


```

<gvxy name="Polygon" material="Copper" dZ="1500.">
<gvxy_point X_Y="-1250.;-1000."/>
<gvxy_point X_Y="0.;1000."/>
<gvxy_point X_Y="1250.;250."/>
<gvxy_point X_Y="250.;-750."/>

```

</gvxy>


აღნიშნული მეთოდით ობიექტის შექმნა ხდება შემდეგნაირად, gvxy_point



სურ. 38 დაპროგრამების მეთოდი arbitrary polygon

X_Y-ში იწერება წერტილის x და y კოორდინატი სიბრტყეზე. შემდეგ ამ წერტილებზე უნდა შეიკრას პოლიგონი, ამისთვის საჭიროა მინიმუმ 3 წერტილი და ბოლოს ამ პოლიგონს ენიჭება „სისქე“ dZ -ში მითითებული რიცხვითი პარამეტრის შესაბამისად.

Symmetric polygon (სურ. 39) – აღნიშნული მეთოდით ხორციელდება




სურ. 39 დაპროგრამების მეთოდი Symmetric polygon

არასტანდარტული პრიმიტივების შექმნა. symmetric polygon-ის სემანტიკა გამოიყურება ასე:

```
<gvxysx name="SymmetricPolygon" material="Carbon"
dZ="1500.">
<gvxy_point X_Y="-1250.;1000."/>
<gvxy_point X_Y=" -500.;-750."/>
</gvxysx>
```

ობიექტის ფუძის აგება ხდება შემდეგნაირად: თავდაპირველად იგება 2 წერტილი. gvxy_point X_Y-ში იწერება თითოეული წერტილის X და Y კოორდინატი და შემდეგ ავტომატურად ხდება მათი სიმეტრიული წერტილების შექმნა. საბოლოოდ ამ წერტილებზე იგება პოლიგონი და შემდეგ arbitrary-ს მსგავსად მიენიჭება სისქე “dZ“-ში მითითებული რიცხვითი პარამეტრის შესაბამისად. ამ მეთოდით შესაძლებელია 4 კუთხა პრიზმის შექმნა.

Double symmetric polygon (სურ. 40) ამ მეთოდით ხდება მრავალკუთხა პრიზმის დაპროგრამება. მეთოდის სემანტიკა ასეთია:




სურ. 40 დაპროგრამების მეთოდი Double Symmetric polygon

```
<gvxysxy name="DoubleSymmetricPolygon"
material="Lead" dZ="1500.">
<gvxy_point X_Y="-1250.; 250."/>
<gvxy_point X_Y=" -500.;1000."/>
</gvxysxy>
```

როგორც ვიცით კოორდინატთა სისტემა დაყოფილია 4 ნაწილად. პრიზმის ფუძის


აგება ხდება შემდეგნაირად. წერტილის x და y კოორდინატების იწერება gvxy_point X_Y-ში. კოორდინატთა სისტემის მხოლოდ 1/4-ში და ნარჩენ მეოთხედებში ისინი სიმეტრიულად განთავსდებიან, შემდეგ იკვრება ამ წერტილებზე პოლიგონი და ბოლოს კი arbitrary-ის და symmetric-ის მსგავსად ხდება მოცულობის მინიჭება.

combined (სურ. 41) ეს მეთოდი გამოიყენება ობიექტების




სურ. 41 დაპროგრამების მეთოდი combined

გასაერთიანებლად. ის საშუალებას გვაძლევს რამდენიმე პრიმიტივი გავაერთიანოთ ერთი სახელის ქვეშ, თუმცა ისინი სიმულაციაში რჩებიან დამოუკიდებელ ობიექტებად. მისი სემანტიკა ასე გამოიყურება:



როგორც აქ ჩანს ხდება 2 პირამიდის გაერთიანება და ასევე მათი გადაადგილებაც არის შესაძლებელი. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ფუნქციაში Move1, Rotation1, Move2, Rotation2 პარამეტრებით.

Merged (სურ. 42) ეს მეთოდი წინა მეთოდის მსგავსია, აქაც ხდება




სურ. 42 დაპროგრამების მეთოდი merged

პრიმიტივების გაერთიანება, თუმცა მთავარი განსხვავება არის ის, რომ საბოლოოდ მიიღება 1 ობიექტი boolean პროცესორის საშუალებით. ამ დროს შესაძლებელია გამოყენებულ პრიმიტივებს ერთმანეთში გადაფარვები ქონდეთ, რადგან საბოლოოდ მაინც მათი 1



ობიექტად გაერთიანება ხდება. მეთოდის სინტასი შემდეგნაირია:

```
<union name="Merged" >
```



როგორც კოდიდან ჩანს აქ ხდება 2 დამოუკიდებელი პრიმიტივის Pyramid და Box-ის გაერთიანება. შესაძლებელია ასევე მათი გადაადგილება და შემოტრიალებაც Move1, Rotation1, Move2, Rotation2 პარამეტრებით.



Subtracted (სურ. 43) ეს მეთოდიც დაფუძნებულია boolean პროცესორზე. მისი სემანტიკა არის ასეთი:



სურ. 43 დაპროგრამების მეთოდი subtract

ამ დროს ხდება ერთი ობიექტით მეორე ობიექტის ამოჭრა, ამ შეთხვევაში ხდება Box-ის ამოჭრა Pyramid-ით. აქ ასევე შესაძლებელია ობიექტების გადაადგილება და სასურველ პოზიციაზე დასმა. Move1, Rotation1, Move2, Rotation2 პარამეტრებით.

Hybridized (სურ. 44) ეს მეთოდიც დაფუძნებულია Boolean-ზე. მეთოდის სემანტიკა შემდეგნაირია:



სურ. 44 დაპროგრამების მეთოდი Hybridized

მეთოდი იყენებს 2 დამოუკიდებელ პრიმიტივს, რომლებიც გარკვეული ნაწილებით ერთმანეთს ფარავენ. ამ შემთხვევაში გამოყენებულია Box და Pyramid.

Hybridized ფუნქციით გამოყენების შედეგად რჩება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ამ 2 ობიექტს ერთმანეთთან შემხებლობაში ქონდათ. ასევე შესაძლებელია მათი გადაადგილება და შემოტრიალებაც Move1, Rotation1, Move2, Rotation2 პარამეტრებით.

ამრიგად, დეტექტორის გეომეტრიული აღწერები ზემოთ განხილული მეთოდებით არის დაპროგრამებული, XML-სა და GeoModel-ში. მათ გეომეტრიის დაპროგრამების მსგავსი სტურქურა და მეთოდები გააჩნიათ. საბოლოოდ მათი კონვერტაცია ხორციელდება GDML (Geometry Description Markup Language) ფორმატში. ის დაფუძნებულია xml-ის ენაზე. GDML -ში კონვერტირებული გეომეტრიული აღწერები წარმოადგენს Geant4-ში შესასვლელ ინფორმაციას [35].

1.5 საკვლევი ამოცანის ჩამოყალიბება

როგორც ზემოთ არის აღნიშნული სიმულაციის ჩასატარებლად აუცილებელია ხელოვნურად წარმოქმნილი მოვლენა და დეტექტორის გეომეტრიული აღწერები. წელიწადში დაახლოებით 5-7 მილიარდი ხელოვნური მოვლენის ფორმირება ხდება [24]. Geant4-ში 10 მოვლენის დამუშავებას დაახლოებით 560 წამი სჭირდება [36]. აქედან გამომდინარე კი 5 მილიარდი მოვლენის დასამუშავებლად Geant4-ს დასჭირდება 77 მლნ საათზე მეტი. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი პარამეტრია სიმულაციის წარმატობა. წარმატობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიმულაციის პაკეტებში გამოყენებული ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიული აღწერები, რომლებიც დაპროგრამების სხვადასხვა მეთოდებით არიან შექმნილი. თუ რა გავლენას ახდენს გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდები სიმულაციის პროცესის წარმატობაზე შესწავლილი არ არის და მისი გამოკვლევა წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას.

ამრიგად, სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ ამოცანას წარმოადგენს „გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდების კვლევა ატლასის

ექსპერიმენტის სიმულაციისათვის“. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად შემუშავდა კვლევის მეთოდური გეგმა:

1. წარმომადგენლობითი გეომეტრიული აღწერების შერჩევა
2. გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდების შერჩევა და საკონტროლო მაგალითების ფორმირება
3. საკვლევი ინფრასტრუქტურის შერჩევა
4. სიმულაციის წარმადობის შემოწმების კრიტერიუმების განსაზღვრა
5. წარმომადგენლობითი Run-ების შერჩევა
6. საკონტროლო მაგალითების გაშვება სიმულაციაში და სატესტო შედეგების მიღება
7. სატესტო შედეგების განზოგადება და სისტემატიზაცია
8. დაპროგრამების მეთოდების აპრობაცია
9. დისერტაციის დასკვნები


თავი II: სატესტო მაგალითების ფორმირება

გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდების, სიმულაციის წარმადობაზე გავლენის გამოკვლევის მიზნით შერჩეულ იქნა სატესტო მაგალითები. აღნიშნული სამუშაო ჩატარდა რამდენიმე ეტაპად:

1. Atlas-ის დეტექტორის ტიპური გეომეტრიული აღწერების შერჩევა
2. სატესტო მაგალითებისთვის დაპროგრამების მეთოდების შერჩევა
3. სატესტო მაგალითების დაპროგრამების მეთოდების ანალიზი

2.1 დეტექტორის ტიპური გეომეტრიების გამოყოფა

Atlas-ის დეტექტორის ტიპური გეომეტრიული აღწერების შერჩევის მიზნით განხორციელდა ნიკო ცუცქერიძის სადოქტორო დისერტაციის არსებული მაგალითების შესწავლა [4], რომლებიც წამოადგენენ სიმულაციაში არსებული ატლასის დეტექტორის გეომეტრიის ტიპურ შემთხვევებს. აქ სულ თავმოყრილია 60 სატესტო მაგალითი სურ.45. აქედან #35 და #69 მაგალითები ერთმანეთის ანალოგიურები არიან სურ. 46 აქედან



სურ. 46 დანართი N1-ის მაგალითები




სურ. 45 დანართი N1-ის #35 და #51 მაგალითები

გამომდინარე #51 კვლევაში გათვალისწინებული არ იქნება. ანალოგიური

სტრუქტურა აქვთ #42 და #53 მაგალითებს სურ. 47. ამ მაგალითებში გეომეტრიებს ერთნაირი ფორმები აქვთ, განსხვავება მხოლოდ ობიექტების რაოდენობაშია, ამიტომ კვლევაში მონაწილეებს არ მიიღებს #53 მაგალითი.

2019 წელს განხორციელდა ATLAS-ის ექსპერიმენტის დეტექტორის ერთ-ერთი ქვე-სტრუქტურის Small Wheel-ის განახლება, შესაბამისად დღის წესრიგში დადგა მისი გეომეტრიული აღწერების სიმულაციის პაკეტებში განახლებაც. აღნიშნული სამუშაოები შესრულდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბირთვული ინჟინერიის ცენტრის მიერ. სიმულაციაში



სურ. 47 დანართი N1-ის #42 და #53 მაგალითები

დაემატა Small Wheel-ის ახალი გეომეტრიები. ამიტომ განხორციელდა დანართი 1-ში არსებული Small Wheel-ის ძველი გეომეტრიული აღწერების შედარება ახალთან. აღმოჩნდა რომ ახალ

ვერსიაში იყო ისეთი შემთხვევები რომლებიც ნ. ცუცქირიძის კვლევაში არ მოხვდა. ასეთი სულ 12 შემთხვევა აღმოჩნდა. შედეგად დანართი N1-დან ამოღებულ იქნა შემდეგი მაგალითები #5, # 12 და #27 მაგალითები, თუმცა მეორეს მხრივ დაემატა 12 ახალი მაგალითი. ამრიგად, ახალი გეომეტრიული აღწერების ანალიზის შედეგად შემდგომი ანალიზისთვის გამოყოფილ იქნა 66 სატესტო მაგალითი იხ. დანართი #1.


2.2 ღაპროგრამების მეთოდების შერჩევა

შემდგომ ეტაპზე თითოეული მაგალითისათვის შერჩეულ იქნა მათი დაპროგრამების შესაძლო სხვადასხვა მეთოდები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მაგალითი #1

მაგალითი #1 - ში წარმოდგენილია პრიმიტივი, რომელის ზედაპირიც არის წახნაგოვანი (სურ. 48). ამიტომ მის დასაპროგრამებლად შეიძლება

გამოყენებულ იქნეს ისეთი მეთოდები, რომელიც ასეთი ზედაპირების



სურ. 48 #1 სატესტო მაგალითი

მიღების საშუალებას მოგვცემს. ესენია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted, hybridized. აღნიშნული მეთოდების ანალიზის შედეგად შერჩეულ

იქნა ზემოთ მოცემული ობიექტის დაპროგრამების ყველა შესაძლო მეთოდი ცხრ.3. რაც შეეხება double symmetric polygon, combined, hybridized მეთოდებს, ისინი ამ პრიმიტივის ასაგებად არ გამოიყენება, მათი ობიექტების აგების თავისებურებების გამო. ცხრ. 3-ში ჩანს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, III და IV ვარიანტებში, მეთოდები ერთმანეთისგან გამოყოფილია. რაც იმას ნიშნავს,

<p>I Pyramid Pyramid Subtraction Subtraction Pyramid Subtraction</p>	<p>II Arbitrary</p>	<p>III Cube/symmetric/pyramid Arbitrary Arbitrary Subtraction Subtraction</p>	<p>IV Cube/symmetric/pyramid Cube/symmetric/pyramid Cube/symmetric/pyramid Cube/symmetric/pyramid Cube/symmetric/pyramid merged</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ცხრ.3 #1 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

რომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მათგანი. დაპროგრამების მეთოდების ჩაწერის ეს ხერხი გამოყენებულ იქნება სხვა შემთხვევების განხილვის დროსაც. ცხრილიდან იკვეთება, რომ #1 ობიექტის ასაგებად გამოიყენება დაპროგრამების 4 განსხვავებული გზა. განვიხილოთ თითოეული მათგანი. პირველ შემთხვევაში იქმნება პირამიდა და შემდგომ ხდება ისევ პირამიდებით ამოჭრა subtract Boolean ოპერატორის საშუალებით. მე-2 შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ arbitrary. მე-3 შემთხვევაში საწყისი ობიექტი შესაძლოა შეიქმნას სხვადასხვა მეთოდით, ხოლო Boolean-ისთვის საჭირო ობიექტების შექმნა კი arbitrary-ის საშუალებით ხორციელდება. მე-4 შემთხვევაში კი საჭიროა შეიქმნას 5 ობიექტი. ისინი შეიძლება დაპროგრამდეს სხვადასხვა მეთოდებით, რომლებიც ცხრ. 1-ში IV ვარიანტში არის აღწერილი. ბოლოს კი, merged Boolean ოპერატორის საშუალებით ხდება მათი გაერთიანება ერთ ობიექტად.

მაგალითი #2

მაგალითი #2 - ში წარმოდგენილი ობიექტი არის წახნაგოვანი სურ.49.



სურ. 49 #2 სატესტო მაგალითი

ამიტომ მის დასაპროგრამებლად განხილულ ისეთი მეთოდები, რომელიც წახნაგოვანი ზედაპირების აგების საშუალებას იძლევა. ესენია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined,

merged, subtracted, hybridized. მეთოდების ანალიზის შედეგად შეირჩა აღნიშნული ობიექტის დაპროგრამების შესაძლო ვარიანტები ცხრ.4.

I
Cube/symmetric/pyramid
Cube/symmetric/pyramid/arbitrary
Cube/symmetric/pyramid/arbitrary
Subtraction
Subtraction

II
Arbitrary

ცხრ.4 #2 მაგალითის დაპროგრამების

გამოიკვეთა დაპროგრამების 2 გზა. პირველ შემთხვევაში საწყის ობიექტად უნდა შეიქმნას პრიმიტივი და ეს შესაძლებელია 3 სხვადასხვა მეთოდით, ხოლო subtract Boolean ოპერატორისთვის

საჭირო ობიექტებს, მათი დაპროგრამება შესაძლებელია 4 სხვადასხვა მეთოდით. რაც შეეხება მე-2 გზას, ის პირველი შემთხვევისგან განსხვავებულია და ობიექტის აგება შესაძლებელია, მხოლოდ arbitrary-ის საშუალებით. როგორც ვხედავთ double symmetric polygon, combined, merged, hybridized მეთოდები არ იქნა გამოყენებული მათი ობიექტის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #3

მაგალითი #3 - ში წარმოდგენილი ობიექტი წარმოადგენს წახნაგოვან პრიმიტივს. სურ.50. მათ დასაპროგრამებლად განხილულ ისეთი მეთოდები, რომელიც წახნაგოვანი ზედაპირების აგების საშუალებას იძლევა. ესენია:



სურ. 50 #3 სატესტო მაგალითი

ესენია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted, hybridized.

ანალიზის შემდგომ შეირჩა აღნიშნული ობიექტის დაპროგრამების ყველა შესაძლო გზა ცხრ.3. როგორც ცხრილიდან

I
Symmetric/
Arbitrary

II
Cube/Pyramid
Arbitrary
Subtraction

ცხრ. 5 #3 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

ჩანს სულ დაპროგრამების 2 გზა არის გამოყენებული 1-ლი ეს არის გზა, სადაც გამოყენებულია ობიექტის აგების 2 მეთოდი Symmetric და Arbitrary, ხოლო მე-2 შემთხვევაში კი ობიექტი მიიღება

Boolean-ის შედეგად. საწყისი პრიმიტივის დაპროგრამება შესაძლებელია 2 სხვადასხვა მეთოდით. ხოლო Boolean-ისთვის საჭირო ობიექტის შექმნა ხდება Arbitrary-ის საშუალებით. რაც შეეხება, double symmetric polygon, combined, merged, hybridized მეთოდებს ისინი ამ შემთხვევაში არ იქნა გამოყენებული მათი ობიექტის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #4

მაგალითი #4 წინა შემთხვევების მსგავსად წარმოადგენს წახნაგოვან ობიექტს სურ. 51 და ამიტომ მისი დაპროგრამების შესაძლო მეთოდებიც



სურ. 51 #4 სატესტო მაგალითი

მათი ანალოგიურია. ესენია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted,

hybridized. მისი დაპროგრამების მეთოდების შესაძლო ვარიანტების შესწავლის შემდგომ შეირჩა რამდენიმე ვარიანტი ცხრ. 6 პირველ გზაში

I
Cube/symmetric/pyramid
Arbitrary/pyramid
Subtraction

II
Arbitrary

ცხრ. 6 #4 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

ობიექტის შესაქმნელად გამოყენებულია დაპროგრამების 3 მეთოდი Cube, symmetric და pyramid, ხოლო Boolean

ოპერაციისთვის საჭირო პრიმიტივის შესაქმნელად კი 2 მეთოდი. ესენია Arbitrary და pyramid. მე-2 გზა აღნიშნული ობიექტის შესაქმნელად არის Arbitrary. ზემოთ ჩამოთვლილი სხვა მეთოდები #4 მაგალითში არსებული ობიექტის შესაქმნელად არ გამოგდება მათი ობიექტის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #5

მაგალითი #5-ში არსებული პრიმიტივიც არის წახნაგოვანი ზედაპირის სურ. 52, ამიტომ მის დასაპროგრამებლად მხოლოდ შემდეგი



სურ. 52 #5 სატესტო მაგალითი

მეთოდები შეიძლება იქნეს გამოყენებული: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged,

subtracted, hybridized. ობიექტის ფორმის და დაპროგრამების მეთოდების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სურ. 52-ზე წარმოდგენილი

<p>I Cube/symmetric/pyramid Cube/symmetric/pyramid/ Arbitrary Subtraction</p>	<p>II Arbitrary</p>
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------


ცხრ. 7 #5 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

პრიმიტივი შეიძლება დაპროგრამდეს შემდეგი გზებით ცხრ. #7 ამ შემთხვევაშიც დაპროგრამების 2 გზა გამოიკვეთა.

პირველი გზა არის შემდეგნაირი. უნდა შეიქმნას საწყისი პრიმიტივი, ამ შემთხვევაში ეს არის პრიზმა და ეს შესაძლებელია შემდეგი მეთოდებით: Cube/ symmetric/ pyramid. ხოლო Boolean-ისთვის საჭირო პრიმიტივი შეიძლება შეიქმნას შემდეგი მეთოდებით Cube/ symmetric/ pyramid/ Arbitrary. რაც შეეხება მე-2 გზას, აქ გამოიყენება მხოლოდ Arbitrary მეთოდი. თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე double symmetric polygon, combined, merged და hybridized მეთოდები ამ შემთხვევაში არ გამოიყენება.

მაგალითი #6

მე-6 მაგალითში არსებული პრიმიტივიც არის წახნაგოვანი ზედაპირის. სურ. 53. ამიტომ წინამორბედი პრიმიტივების მსგავსად მის შესაქმნელად



სურ. 53 #6 სატესტო მაგალითი

შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დაპროგრამების მეთოდები: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted, hybridized. თუმცა მე-6 მაგალითის დასაპროგრამებლად მხოლოდ შემდეგი მეთოდები

შეიძლება იქნეს გამოყენებული ცხრ. 8. გამოიკვეთა ობიექტის შექმნის 2 გზა. პირველი ეს არის ობიექტის შექმნა Boolean ოპერაციის გამოყენებით,

I
Cube/Pyramid/
Symmetric
Arbitrary
Subtraction
Arbitrary
Subtraction

II
Arbitrary

ამისათვის საწყისი ობიექტის შექმნა უნდა განხორციელდეს Cube, Pyramid ან Symmetric მეთოდით, ხოლო Boolean-ისთვის საჭირო

ცხრ. 8 #6 მაგალითის დაპროგრამების

პრიმიტივი უნდა შეიქმნას Arbitrary მეთოდით. მე-2 გზის გამოყენების

შემთხვევაში ობიექტი უნდა შეიქმნას მხოლოდ Arbitrary მეთოდის გამოყენებით. double symmetric polygon, combined, merged, hybridized მეთოდები ამ ობიექტის შესაქმნელად არ გამოდგება მათი გეომეტრიის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #7

მე-7 მაგალითში არსებული პრიმიტივის ზედაპირიც წახნაგოვანი ფორმისაა სურ.54. ამიტომ ამ შემთხვევაშიც განხილულ იქნა ის მეთოდების,



სურ. 54 #7 სატესტო მაგალითი

რომლების ასეთი ზედაპირების შექმნის შესაძლებლობას იძლევა, ესენია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon,

combined, merged, subtracted, hybridized. გამოიკვეთა, რომ ამ პრიმიტივის დასაპროგრამებლად შეიძლება მხოლოდ შემდეგი მეთოდების გამოყენება ცხრ. 9. შერჩეულ იქნა დაპროგრამების 2 გზა. 1-ლი ეს არის როცა ობიექტის შესაქმნელად გამოიყენება Boolean ოპერაციები. ამ შემთხვევაში საწყისი პრიმიტივის დაპროგრამება ხდება Cube, Pyramid ან Symmetric მეთოდით, ხოლო Subtraction Boolean-ისთვის საჭირო პრიმიტივის დაპროგრამება კი ხდება

I
Cube/Pyramid/Symmetric
Cube/Pyramid/Symmetric/Arbitrary
Subtraction

II
Arbitrary

Cube, Pyramid, Symmetric ან Arbitrary მეთოდით. მე-2

ცხრ. 9 #7 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

შემთხვევაში კი გამოიყენება მხოლოდ Arbitrary მეთოდი.

დანარჩენი შესაძლო ვარიანტები გამოირიცხა, მათი გეომეტრიის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #8

მაგალითი #8-ში არსებული პრიმიტივი არის წახნაგოვანი ზედაპირის მქონე (სურ. 55) და მისი დაპროგრამება შესაძლებელს უშემდეგი მეთოდებით:



სურ. 55 #8 სატესტო მაგალითი პრიმიტივისთვის შეირჩა დაპროგრამების 1 გზა, სადაც სხვადასხვა მეთოდების რამდენიმე კომბინაცია არის გაერთიანებული და გამოიყენება Subtraction Boolean ოპერაციები ცხრ. 10.

Cube/ Pyramid/ Symmetric/ Arbitrary
Cube/ Pyramid/ Symmetric/ Arbitrary
Cube/ Pyramid/ Symmetric/ Arbitrary
Subtraction
Subtraction
Subtraction


cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted, hybridized. ამ

საწყისი პრიმიტივის დაპროგრამება შეიძლება განხორციელდეს Cube, Pyramid, Symmetric ან Arbitrary მეთოდით. იგივე მეთოდებით არის Boolean-ისთვის საჭირო პრიმიტივების

ცხრ. 10 #8 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები დაპროგრამებაც შესაძლებელი. სხვა მეთოდები აღნიშნული ობიექტის შესაქმნელად არ გამოდგება, მათი ობიექტის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #9

მე-9 მაგალითის პრიმიტივი, ისევე როგორც ყველა წინამორბედი არის წახნაგოვანი ზედაპირის მქონე სურ. 56. წახნაგოვანი ზედაპირების



სურ. 56 #9 სატესტო მაგალითი

Cube/ Pyramid/ Symmetric/ Arbitrary
Cube/ Pyramid/ Symmetric/ Arbitrary
Subtraction

დასაპროგრამებლად კი შეიძლება გამოყენებულ იქნება შემდეგი მეთოდები: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined,

merged, subtracted, hybridized. მათი ანალიზი შედეგად გაირკვა, რომ ამ პრიმიტივის ასაგებად შემდეგი მეთოდები შეიძლება იქნეს გამოყენებული ცხრ. 11. როგორც ცხრ. #9-იდან ჩანს, პრიმიტივის შესაქმნელად

ცხრ. 11 #9 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

გამოიყენება Subtraction Boolean ოპერაცია. სხვადასხვა მეთოდების რამდენიმე კომბინაცია შეიძლება იქნეს გამოყენებული. საწყისი პრიმიტივის შესაქმნელად საჭიროა Cube, Pyramid, Symmetric ან Arbitrary მეთოდები. იგივე მეთოდებია საჭიროა Boolean-ისთვის საჭირო პრიმიტივის დასაპროგრამებლად. დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები კი მათი სპეციფიკიდან გამომდინარე ამ შემთხვევაში არ გამოდგება.

მაგალითი #10


მაგალითი #10-ში არსებული პრიმიტივის ზედაპირი არის შერეული,



როგორც წახნაგოვანი, ასევე ცილინდრული სურ. 57. ამიტომ მის შესაქმნელად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი მეთოდები: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, tube, cylinder, chain, combined, merged, subtracted, hybridized. პრიმიტივის ანალიზის

სურ. 57 #10 სატესტო მაგალითი

შედეგად დადგინდა მისი დაპროგრამების მეთოდები. ცხრ. 12 როგორც ცხრ. 10-დან ირკვევა აღნიშული პრიმიტივის შესაქმნელად საჭიროა Subtraction Boolean ოპერატორი. ამისათვის დაპროგრამების სხვადასხვა მეთოდების




რამდენიმე კომბინაცია შეიძლება იქნეს გამოყენებული. საწყისი პრიმიტივის შესაქმნელად გამოყენებულ უნდა იქნას Symmetric ან Arbitrary მეთოდი. Boolean-ისთვის საჭიროა როგორც ცილინდრული

ცხრ. 12 #10 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

ასევე წახნაგოვანი ზედაპირის მქონე პრიმიტივები. ცილინდრული პრიმიტივის შესაქმნელად გამოყენებულ უნდა იქნას Tube, Cylinder ან Chain დაპროგრამების მეთოდი, ხოლო წახნაგოვანი ზედაპირის პრიმიტივის შესაქმნელად კი Cube, Pyramid, Symmetric ან Arbitrary მეთოდები. დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი დაპროგრამების მეთოდები კი მათი გეომეტრიის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე ამ შემთხვევისთვის არ გამოდგება.

მაგალითი #11

მე-11 მაგალითის პრიმიტივის ზედაპირი არის შერეული სახის. მას გააჩნია, როგორც წახნაგოვანი ასევე ცილინდრული ზედაპირები სურ. 58.



სურ. 58 #11 სატესტო მაგალითი

ამიტომ მის დასაპროგრამებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები: ამიტომ მის შესაქმნელად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი მეთოდები: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, tube, cylinder, chain, combined, merged, subtracted, hybridized.

ამ ობიექტის შექმნის თავისებურებებიდან და მეთოდების შესაძლებლობებიდან გამომდინარე შერჩეულ იქნა დაპროგრამების შემდეგი მეთოდების რამდენიმე კომბინაცია ცხრ.13. აღნიშნული პრიმიტივის დასაპროგრამებლად საჭიროა Subtraction Boolean ოპერაციის გამოყენება.

Arbitrary/ Symmetric
Tube/ Cylinder/ Chain
Subtraction

ცხრ. 13 #11 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

საწყისი გეომეტრიის დაპროგრამება ხდება Arbitrary ან Symmetric მეთოდით, ხოლო Boolean-ისთვის საჭირო პრიმიტივის შექმნა უნდა მოხდეს Tube, Cylinder ან Chain მეთოდით. სხვა დანარჩენი მეთოდი, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი, აღნიშნული ობიექტის დასაპროგრამებლად არ გამოდგება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #12

მაგალითი #12 წარმოადგენს ცილინდრული ტიპის პრიმიტივს სურ.

59. ამიტომ მისი დაპროგრამების შესაძლო მეთოდებია: tube, cylinder, chain,



სურ. 59 #12 სატესტო მაგალითი

combined, merged, subtracted, hybridized. ობიექტის ანალიზის შედეგად დადგინდა მისი შექმნის რამდენიმე კომბინაცია ცხრ.14. პრიმიტივის შესაქმნელად საჭიროა Subtraction Boolean ოპერაციის გამოყენება. ვინაიდან აღნიშნული

Tube/ Cylinder/ Chain
 Tube/ Cylinder/ Chain
 Subtraction
 Subtraction

ცხრ. 14 #12 მაგალითის
 დაპროგრამების მეთოდები

ობიექტი ცილინდრულია, მის
 დასაპროგრამებლად შერჩეულია შესაბამისი
 მეთოდები. კერძოდ საწყისი გეომეტრიის
 ასაგებად გამოყენებულია Tube, Cylinder ან

Chain მეთოდი. იგივე მეთოდებია გამოყენებული Boolean-ისთვის საჭირო
 პრიმიტივის შესაქმნელად. რაც შეეხება merged და hybridized მეთოდებს მათი
 სპეციფიკიდან გამომდინარე მათი გამოყენება ამ შემთხვევაში არ ხდება.

მაგალითი #13

მე-13 მაგალითში არსებული გეომეტრიის ზედაპირები არის შერეული
 სახის, როგორც წახნაგოვანი, ასევე ცილინდრული სურ 60. ამიტომ მის
 შესაქმნელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები: cube,



სურ. 60 #13 სატესტო
 მაგალითი

pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double
 symmetric polygon, tube, cylinder, chain, combined,
 merged, subtracted, hybridized. აღნიშნული
 პრიმიტივის ანალიზის შემდეგ, მისი
 დაპროგრამების რამდენიმე კომბინაცია იქნა
 შემუშავებული ცხრ. 15. ამ ობიექტის

შესაქმნელად აუცილებელია Subtraction Boolean ოპერაციის გამოყენება.
 მისთვის საჭირო საწყისი ობიექტი შეიძლება დაპროგრამდეს 2 სხვადასხვა
 მეთოდით ესენია: Symmetric და Arbitrary. Boolean-ისთვის კი 3 სხვადასხვა

Symmetric/ Arbitrary
 Arbitrary
 Subtraction
 Tube/ Cylinder/ Chain
 Subtraction
 Tube/ Cylinder/ Chain
 Subtraction

ცხრ. 15 #13 მაგალითის
 დაპროგრამების მეთოდები

პრიმიტივია საჭირო. პირველ შემთხვევაში მისი
 შექმნა უნდა მოხდეს Arbitrary-ით, ხოლო მე-2
 და მე-3 პრიმიტივების კი Tube, Cylinder ან Chain
 მეთოდებით. დანარჩენი მეთოდები ამ
 შემთხვევაში არ გამოდგება მათი გეომეტრიის

აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #14



სურ. 61 #14 სატესტო მაგალითი

მე-14 მაგალითის პრიმიტივი წარმოადგენს წინა შემთხვევის მსგავსად შერეულ გეომეტრიას. ის შედგება, როგორც წახნაგოვანი ასევე ცილინდრული ზედაპირისგან სურ. 61. შესაბამისად მისი დაპროგრამების სავარაუდო

მეთოდებია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, tube, cylinder, chain, combined, merged, subtracted, hybridized. ამ ობიექტის ანალიზის შედეგად დადგინდა მისი დაპროგრამების სხვადასხვა

<p>I Arbitrary Tube/ Cylinder/Chain Subtraction Tube/ Cylinder/Chain Subtraction</p>	<p>II Symmetric Pyramid Subtraction Tube/ Cylinder/ Chain Subtraction Tube/ Cylinder/ Chain Subtraction</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------


ცხრ. 16 #14 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

კომბინაციები ცხრ. 16. როგორც ცხრ. 16-იდან ჩანს, ობიექტის შესაქმნელად 2 სხვადასხვა გზა არის შერჩეული. ორივე შემთხვევაში გამოყენებულია Subtraction Boolean ოპერაცია. პირველ შემთხვევაში საწყისი ობიექტის შექმნა ხდება Arbitrary--

მეთოდით. აღნიშნული ობიექტის შექმნის სხვა შესაძლო მეთოდები, რომლებიც ზემოთ არის აღწერილი ამ შემთხვევაში არ გამოდგებიან, მათი გეომეტრიის აგების

სპეციფიკიდან გამომდინარე.


მაგალითი #60

60-მაგალითი წინა შემთხვევის მსგავსად არის წახნაგოვანი ზედაპირის მქონე სურ. 102. შესაბამისად მისი დაპროგრამების სავარაუდო



სურ. 102 #60 სატესტო მაგალითი

მეთოდებია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted, hybridized. მეთოდების და გეომეტრიული ფორმების ანალიზის შემდეგად დაგინდა მოცემული ობიექტის დაპროგრამების რამდენიმე კომბინაცია ცხრ.57. 3 გზით არის შესაძლებელი მოცემული ობიექტის დაპროგრამება. 1-ლი და მე-2 გზის მიხედვით საჭიროა Subtraction-ის გაკეთება. ამისთვის ორივე შემთხვევაში საწყისი ობიექტის



ცხრ. 57 #60 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები დაპროგრამება უნდა განხორციელდეს Cube, Pyramid ან Symmetric მეთოდით. Subtraction-ისთვის საჭიროა პრიმიტივის შექმნა, პირველი შემთხვევისთვის მისი დაპროგრამების მეთოდია Arbitrary, ხოლო მეორე შემთხვევისთვის Cube, Arbitrary, Pyramid ან Symmetric მეთოდი. მე-3 გზის გამოყენების შემთხვევაში კი 60-ობიექტის ასაგებად მხოლოდ Arbitrary-ის გამოყენებაა საკმარისი. აღიშნული ობიექტის შექმნის სხვა შესაძლო მეთოდები, რომლებიც ზემოთ არის აღწერილი ამ შემთხვევაში არ გამოდგებიან, მათი გეომეტრიის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #61

60-მაგალითი წინა შემთხვევის მსგავსად არის წახნაგოვანი ზედაპირის მქონე სურ. 103. შესაბამისად



სურ. 103 #61 სატესტო მაგალითი

მისი დაპროგრამების სავარაუდო მეთოდებია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon,


Symmetric/ Arbitrary

combined, merged, subtracted, hybridized.

ცხრ. 58 #61 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები მეთოდების და გეომეტრიის ფორმის ანალიზის შედეგად მისი დაპროგრამების რამდენიმე კომბინაცია შეიქმნა ცხრ. 58. როგორც ცხრილიდან ჩანს მოცემული ობიექტის დაპროგრამება შესაძლებელია Symmetric ან Arbitrary მეთოდით. სხვა მეთოდები რომლების აქ განხილულ არ იქნა, ამ შემთხვევაში არ გამოდგება, მათი გეომეტრიის აგების თავისებურებების გათვალისწინებით.

მაგალითი #62

62-მაგალითს გააჩნია როგორც წახნაგოვანი, ასევე ცილინდრული ზედაპირი სურ. 104. ამიტომ მისი დაპროგრამების შესაძლო მეთოდებია:



cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, tube, cylinder, chain, combined, merged, subtracted, hybridized.

სურ. 104 #62 სატესტო მაგალითი

მეთოდების და გეომეტრიული ფორმების ანალიზის შემდეგ დაგინდა მოცემული ობიექტის დაპროგრამების რამდენიმე კომბინაცია

ცხრ.59. აღნიშნული ობიექტის შექმნისთვის აუცილებელია Subtraction Boolean ოპერატორის გამოყენება. თავდაპირველად უნდა შეიქმნას 2 პრიმიტივი, Tube, Cylinder ან Chain მეთოდით და შემდეგ ისინი უნდა ამოიჭრას ორი სხვადასხვა პრიმიტივით. 1-ლი Tube, Cylinder ან Chain მეთოდით. უნდა შეიქმნას, ხოლო


Tube/Cylinder/Chain
Tube/Cylinder/Chain
Subtraction
Tube/Cylinder/Chain
Cube/ Arbitrary/ Pyramid/ Symmetric
Subtraction
Arbitrary

მე-2 Cube, Arbitrary, Pyramid ან Symmetric მეთოდით. აღნიშნული ობიექტის შექმნის სხვა შესაძლო მეთოდები, რომლებიც ზემოთ არის აღწერილი ამ შემთხვევაში არ გამოდგებიან, მათი გეომეტრიის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ცხრ. 59 #62 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

მაგალითი #63

63-მაგალითი წინა შემთხვევის მსგავსად არის წახნაგოვანი ზედაპირის მქონე სურ. 105. შესაბამისად მისი დაპროგრამების სავარაუდო



სურ. 105 #63 სატესტო მაგალითი

მეთოდებია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted, hybridized.

მეთოდების და გეომეტრიული ფორმების ანალიზის შემდეგ დაგინდა მოცემული ობიექტის დაპროგრამების რამდენიმე კომბინაცია ცხრ.60. აღნიშნული ობიექტის შექმნისთვის აუცილებელია Subtraction Boolean ოპერატორის გამოყენება. საწყისი ობიექტის დასაპროგრამებლად გამოყენებულ უნდა იქნას Cube, Arbitrary,

Cube/ Arbitrary/ Pyramid/ Symmetric
 Cube/ Arbitrary/ Pyramid/ Symmetric
 Cube/ Arbitrary/ Pyramid/ Symmetric
 Subtraction
 Subtraction
 Subtraction
 Subtraction

Pyramid ან Symmetric მეთოდი. ხოლო მის ამოსაჭრელად საჭიროა 3 პრიმიტივი და ისინი უნდა დაპროგრამდეს Cube, Arbitrary, Pyramid

ცხრ. 60 #63 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

ან Symmetric მეთოდით. აღნიშნული ობიექტის შექმნის სხვა შესაძლო მეთოდები, რომლებიც

ზემოთ არის აღწერილი ამ შემთხვევაში არ გამოდგებიან, მათი გეომეტრიის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #64

64-მაგალითი წინა შემთხვევის მსგავსად არის წახნაგოვანი ზედაპირის მქონე სურ. 106. შესაბამისად მისი დაპროგრამების სავარაუდო



სურ. 106 #64 სატესტო მაგალითი

მეთოდებია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted, hybridized. მეთოდების

და გეომეტრიული ფორმების ანალიზის შემდეგ დაგინდა მოცემული ობიექტის დაპროგრამების რამდენიმე კომბინაცია ცხრ. 61. 2 გზით არის შესაძლებელი მოცემული ობიექტის დაპროგრამება. ორივე შემთხვევაში საჭიროა Subtraction-ის გაკეთება. 1-ლი გზის საწყისი ობიექტის დაპროგრამება უნდა

I
Arbitrary
Cube/ Arbitrary/ Pyramid/ Symmetric
Subtraction


II
Cube/ Pyramid/ Symmetric
Arbitrary
Arbitrary
Subtraction
Subtraction

განხორციელდეს Arbitrary
მეთოდით. Subtraction-
ისტვის საჭიროა 1
პრიმიტივის შექმნა,

ცხრ. 61 #64 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები რომელიც უნდა შეიქმნას Cube, Arbitrary, Pyramid ან Symmetric მეთოდით. მე-2 გზის გამოყენების შემთხვევაში კი 71-ე ობიექტის ასაგებად საწყისი ობიექტის დაპროგრამება უნდა განხორციელდეს Cube, Pyramid ან Symmetric მეთოდით. Subtraction-ისტვის საჭიროა 2 სხვადასხვა პრიმიტივის შექმნა, რომლებიც უნდა შეიქმნას Arbitrary მეთოდით. ობიექტის შექმნის სხვა შესაძლო მეთოდები, რომლებიც ზემოთ არის აღწერილი ამ შემთხვევაში არ გამოდგებიან, მათი გეომეტრიის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #65

65-მაგალითი წინა შემთხვევის მსგავსად არის წახნაგოვანი ზედაპირის მქონე სურ. 107. შესაბამისად მისი დაპროგრამების სავარაუდო



სურ. 107 #65 სატესტო მაგალითი

მეთოდებია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted, hybridized.

აღნიშნული ობიექტის და მეთოდების ანალიზის შედეგად, დადგინდა მისი შექმნის მეთოდების რამდენიმე კომბინაცია ცხრ. 62. 2 გზით არის შესაძლებელი მოცემული ობიექტის დაპროგრამება. 1-ლი გზის მიხედვით საჭიროა Subtraction-ის გაკეთება. ამისთვის საწყისი ობიექტის დაპროგრამება უნდა განხორციელდეს Cube, Pyramid ან Symmetric მეთოდით. Subtraction-ისტვის

I
Cube/ Pyramid/ Symmetric
Cube/ Arbitrary/ Pyramid/ Symmetric
Subtraction

II
Arbitrary


საჭიროა პრიმიტივის
შექმნა, მისი
დაპროგრამების მეთოდია
Cube, Arbitrary, Pyramid ან

ცხრ. 62 #65 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები Symmetric. მე-2 გზის გამოყენების შემთხვევაში კი 65-ობიექტის ასაგებად მხოლოდ Arbitrary-ის გამოყენებაა საკმარისი. აღნიშნული ობიექტის შექმნის

სხვა შესაძლო მეთოდები, რომლებიც ზემოთ არის აღწერილი ამ შემთხვევაში არ გამოდგებიან, მათი გეომეტრიის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

მაგალითი #66

66-მაგალითი წინა შემთხვევის მსგავსად არის წახნაგოვანი ზედაპირის მქონე სურ. 108. შესაბამისად მისი დაპროგრამების სავარაუდო



სურ. 108 #66 სატესტო მაგალითი

მეთოდებია: cube, pyramid, arbitrary polygon, symmetric polygon, double symmetric polygon, combined, merged, subtracted, hybridized. აღნიშნული ობიექტის და მეთოდების ანალიზის შედეგად, დადგინდა მისი შექმნის

მეთოდების რამდენიმე კომბინაცია ცხრ. 63. 2 გზით არის შესაძლებელი მოცემული ობიექტის დაპროგრამება. ორივე შემთხვევაში საჭიროა Subtraction-ის გაკეთება. 1-ლი გზის საწყისი ობიექტის დაპროგრამება უნდა განხორციელდეს Cube, Pyramid ან Symmetric მეთოდით. Subtraction-ისთვის

I
Cube/ Pyramid/ Symmetric
Cube/ Arbitrary/ Pyramid/ Symmetric
Cube/ Arbitrary/ Pyramid/ Symmetric
Subtraction
Subtraction

II
Arbitrary
Cube/ Arbitrary/ Pyramid/ Symmetric
Subtraction

ცხრ. 63 #66 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

საჭიროა 2 პრიმიტივის შექმნა, რომლებიც უნდა შეიქმნან Cube, Arbitrary, Pyramid ან Symmetric მეთოდით. მე-2 გზის

გამოყენების შემთხვევაში კი 72-ე ობიექტის ასაგებად საწყისი ობიექტის დაპროგრამება უნდა განხორციელდეს Arbitrary მეთოდით. Subtraction-ისთვის საჭიროა 1 პრიმიტივის შექმნა, რომელიც უნდა შეიქმნას Cube, Arbitrary, Pyramid ან Symmetric მეთოდით. ობიექტის შექმნის სხვა შესაძლო მეთოდები, რომლებიც ზემოთ არის აღწერილი ამ შემთხვევაში არ გამოდგებიან, მათი გეომეტრიის აგების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ამრიგად, კვლევისთვის 66 პრიმიტივი და მათი 2713 დაპროგრამების მეთოდი შეირჩა. შემდგომ ეტაპზე კი განხორციელდა ამ მაგალითების დაჯგუფება კლასებში შემდეგი კრიტერიუმებით:

1. პრიმიტივები, რომელთაც გააჩნიათ წახნაგოვანი ზედაპირები
2. პრიმიტივები, რომელთაც ცილინდრული ზედაპირები გააჩნიათ
3. პრიმიტივები, რომელთაც შერეული (როგორც წახნაგოვანი, ასევე ცილინდრული) ზედაპირები გააჩნიათ

პირველ, წახნაგოვანი ზედაპირების კლასში, სულ 32 პრიმიტივის გაერთიანება განხორციელდა. ესენია: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 18, 19, 25, 30, 33, 37, 38, 39, 40, 42, 45, 49, 50, 54, 56, 57, 58, 60, 61, 63, 64, 65, 66. მათი დაპროგრამებისათვის კი სულ 1883 მეთოდია გამოყენებული.

მე-2, ცილინდრული ზედაპირების კლასში გაერთიანებულია 11 პრიმიტივი. ესენია: 12, 15, 26, 27, 29, 31, 32, 35, 41, 46, 48. მათი დაპროგრამებისათვის კი სულ 126 მეთოდია გამოყენებული.

რაც შეეხება მე-3 კლასს, აქ გაერთიანებულია შემდეგი 23 პრიმიტივი: 10, 11, 13, 14, 16, 17, 20, 21, 22, 23, 24, 28, 34, 36, 43, 44, 47, 51, 52, 53, 55, 59, 62. მათი დაპროგრამებისათვის კი სულ 704 მეთოდია გამოყენებული.

2.3 დაპროგრამების მეთოდების ანალიზი

შემდგომი ეტაპის ამოცანას წარმოადგენს მაგალითების განთესვა დაპროგრამების მეთოდების საშუალებით. წინასწარი შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, სატესტო მაგალითებისთვის შერჩეულ მეთოდებს შორის არის სხვადასხვაგვარი კავშირები, მაგალითად ზოგ მათგანს აქვს მსგავსი ტოპოლოგია, ზოგიერთი მათგანი არის თეორიული, ვინაიდან პრაქტიკაში მათი ამ ფორმით გამოყენება არ ხორციელდება. გამოიკვეთა ასევე მეთოდების ირაციონალობაც. გამომდინარე აქედან გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდების ანალიზი წარმოადგენს აქტუალური ამოცანას. ამოცანის შესასრულებლად დამუშავდა 3 კრიტერიუმი:

1. მსგავსი ტოპოლოგიების გამორიცხვა
2. თეორიული მეთოდების გამორიცხვა
3. ირაციონალური მეთოდების გამორიცხვა


განვიხილოთ თითოეული მათგანი.

2.3.1 მსბავსი ტოპოლოგიების გამოცხვბა

განხორციელდა პრიმიტივების თითოეულ კლასში შემავალი ობიექტების ერთმანეთთან შედარება და შედეგად გამოიკვეთა ის პრიმიტივები, რომლებსაც დაპროგრამების მეთოდების მსგავსი სტრუქტურა გააჩნიათ. განვიხილოთ ასეთი შემთხვევები.


მაგალითი #26 და #27

განვიხილოთ პრიმიტივების სრულ ნუსხაში არსებული #26 და #27, მაგალითები სურ.109. ისინი არიან ცილინდრული ზედაპირების მქონე



სურ. 109 პრიმიტივების სრული ნუსხის #26 და #27 მაგალითები

პრიმიტივების კლასის წარმომადგენლები. შესაბამისად ორივე შემთხვევაში




ცხრ. 64 #26, #27 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები მოცემულია ცილინდრული ობიექტები და ამიტომ მათი დაპროგრამებისათვის გამოყენებულია შემდეგი მეთოდები ცხრ. 64. 1. Tube მეთოდი. 2. Cylinder და 3. Chain. ამ ორი მაგალითის დაპროგრამების მეთოდების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ 26-ე მაგალითთან შედარებით, 27-ე მაგალითის პირველ და მესამე გზაშია განსხვავება. პირველ შემთხვევაში 26-ე მაგალითში Tube მეთოდი 2-ჯერ არის გამოყენებული, ხოლო 27-ში კი 3-ჯერ, იგივე შემთხვევაა მე-3 გზაშიც. განსხვავება არის ის,

რომ აქ გამოყენებულია Chain მეთოდი Tube მეთოდის ნაცვლად. ეს სხვაობა კვლევისთვის მნიშვნელოვანი არ არის, ვინაიდან შემდგომ სიმულაციის სატესტო სესიებში თითოეული მეთოდი გამოყენებული იქნება იმ რაოდენობით, რამდენიც მისი შესაბამისი ობიექტი არის წარმოდგენილი ატლასის ექსპერიმენტის სიმულაციაში. აქედან გამომდინარე #27 პრიმიტივი ამოღებულ უნდა იქნას პრიმიტივების სრული ნუსხიდან.

მაგალითი #29, #46 და #48

განვიხილოთ პრიმიტივების სრულ ნუსხაში არსებული #29, #46, #48



სურ. 110 პრიმიტივების სრული ნუსხის #29, #46 და #48 მაგალითები

მაგალითები სურ.110. აღნიშნული პრიმიტივები წარმოადგენენ ცილინდრული ზედაპირების კლასს. ამ შემთხვევაშიც წინას მსგავსად, მოცემულია ცილინდრული ობიექტები. შესაბამისად მათაც დაპროგრამების მეთოდებიც მსგავსია. განსხვავება Boolean-ის ოპერატორებშია და მათი გაყოფაც ამიტომ მოხდა. რაც შეეხება #29, #46 და #48 პრიმიტივებს მათი დაპროგრამების მეთოდები მოცემულია ცხრ. 65-ში. პრიმიტივების სრულ

#29	#46	#48
Tube/ Cylinder/ Chain Tube/ Cylinder/ Chain combined	Tube/ Cylinder/ Chain Tube/ Cylinder/ Chain combined	Tube/ Cylinder/ Chain Tube/ Cylinder/ Chain Tube/ Cylinder/ Chain combined


ცხრ. 65 #29, #46 და #48 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები

ნუსხაში მათი აგებისათვის გამოყენებულია შემდეგი მეთოდები ცხრ. 65. 1. Tube მეთოდი, 2. Cylinder და 3. Chain. დაპროგრამების მეთოდების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ 29-ე და 46-ე პრიმიტივებს ზუსტად ერთნაირი სტრუქტურა აქვთ, ხოლო 48-ე პრიმიტივს კი მათი მსგავსი სტრუქტურა

გააჩნია. აქედან გამომდინარე მათგან მხოლოდ 1 უნდა დარჩეს. პრიმიტივების ნუსხაში დარჩა #29, ხოლო #46 და #48 ამოღებულ იქნა.

მაგალითი #28, #34 და #53

განვიხილოთ პრიმიტივების სრულ ნუსხაში არსებული #28, #34 და #53 მაგალითები სურ.111. ისინი წარმოადგენენ შერეული ზედაპირების




სურ. 111 პრიმიტივების სრული ნუსხის #28, #34 და #53 მაგალითები მქონე პრიმიტივების კლასს და არიან ერთმანეთის მსგავსი ობიექტები. პრიმიტივების ნუსხაში მათი დაპროგრამების მეთოდებად არჩეულია შემდეგი მეთოდები. ცხრ. 66. #28, #34 და #53 მაგალითებში 2 პრიმიტივის დაპროგრამება ხდება ესენია პრიზმის და ცილინდრის საშუალებით. როგორც ცხრ.66-იდან ჩანს თითოეულ მაგალითს დაპროგრამების 12 მეთოდი შეესაბამება რომლებიც ზუსტად ერთნაირია. ამიტომ პრიმიტივების

#28	#34	#53
Arbitrary/ Cube/ Pyramid/ Symmetric Tube/ Cylinder/ Chain combined	Arbitrary/ Cube/ Pyramid/ Symmetric Tube/ Cylinder/ Chain combined	Tube/ Cylinder/ Chain Arbitrary/ Cube/ Pyramid/ Symmetric combined

ცხრ. 66 #28, #34 და #54 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები ნუსხაში დარჩა #28 მაგალითი, #34 და #53 კი წაიშალა.

მაგალითი #30 და #49

განვიხილოთ პრიმიტივების სრულ ნუსხაში არსებული #30 და #49 მაგალითები სურ.112. ეს პრიმიტივები პირველ წახნაგოვანი ზედაპირების



სურ. 112 პრიმიტივების სრული ნუსხის #30, და #49 მაგალითები

კლასს წარმოადგენენ. პრიმიტივების ნუსხაში მათი დაპროგრამებისათვის გამოყენებული მეთოდები მოცემულია ცხრ.67-ში. როგორც ჩანს

#30


Arbitrary/ Cube/ Pyramid/ Symmetric
Arbitrary/ Cube/ Pyramid/ Symmetric
combined

#49

Arbitrary/ Cube/ Pyramid/ Symmetric
Arbitrary/ Cube/ Pyramid/ Symmetric
combined

ცხრ. 67 #30 და #49 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები თითოეული პრიმიტივის დასაპროგრამებლად 16 სხვადასხვა მეთოდი გამოყენებული. ცხრილიდან ირკვევა, რომ #30 და #49 დაპროგრამების მეთოდების სტრუქტურა ერთი და იგივეა. ამიტომ პრიმიტივების ნუსხაში დარჩა #30 მაგალითი, ხოლო #49 კი ამოღებულ იქნა.

მაგალითი #38 და #54



სურ. 113 პრიმიტივების სრული ნუსხის #38, და #54 მაგალითები

განვიხილოთ პრიმიტივების სრულ ნუსხაში არსებული #38 და #54 მაგალითები სურ.113. ეს პრიმიტივები პირველ წახნაგოვანი ზედაპირების კლასს წარმოადგენენ. ამ მაგალითებში მოცემული პრიმიტივებს

#38

I
Arbitrary/ Symmetric

II
Cube/ Pyramid
Cube/ Arbitrary/ Pyramid/
Symmetric

#54


I
Arbitrary/ Symmetric
combined

II
Cube/ Pyramid
Cube/ Arbitrary/ Pyramid/
Symmetric

ცხრ. 68 #38 და #54 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები წარმოადგენს პრიზმა რომლის დაპროგრამებაც შესაძლებელია ორნაირად. ცხრ. 68. თუ შევადარებთ #38 და #54 პრიმიტივების დაპროგრამების პირველ გზას ვნახავთ რომ მათ ერთნაირი სტრუქტურა გააჩნიათ. ასევე ერთნაირი სტრუქტურა აქვთ მე-2 გზის გამოყენების შემთხვევაში. ამიტომ პრიმიტივების ნუსხაში დარჩა #38 მაგალითი, ხოლო #54 კი წაიშალა.

მაგალითი #51 და #52

განვიხილოთ პრიმიტივების სრულ ნუსხაში არსებული #51 და #52 მაგალითები სურ.114. ეს პრიმიტივები პირველ წახნაგოვანი ზედაპირების



სურ. 114 პრიმიტივების სრული ნუსხის #51, და #52 მაგალითები

კლასს წარმოადგენენ. ამ მაგალითებში მოცემული პრიმიტივებს წარმოადგენს პრიმიტივი რომლის დაპროგრამების მეთოდები მოცემულია ცხრ. 69. თუ შევადარებთ #51 და #52 პრიმიტივების დაპროგრამების

#51

Tube/Cylinder/Chain
Cube/ Arbitrary/
Pyramid/ Symmetric
merged

#52

Tube/Cylinder/Chain
Cube/ Arbitrary/
Pyramid/ Symmetric
merged

მეთოდებს აღმოვაჩენთ, რომ ისინი ერთნაირია. ასევე ერთნაირია მათი გეომეტრიული ფორმებიც. ამიტომ პრიმიტივების ნუსხაში დარჩა #51 მაგალითი, ხოლო #52 კი წაიშალა.

ცხრ. 69 #51 და #52 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები

მაგალითი #51 და #52

აღნიშნულ მაგალითებსაც ერთნაირი სტრუქტურა გააჩიათ ცხრ. 70.

#05

Cube/ pyramid
Cube/ pyramid
Subtraction

#07

Cube/ Pyramid
Cube/ Pyramid
Subtraction

ცხრ. 70 #05 და #07 მაგალითების დაპროგრამების მეთოდები

ამრიგად, 1 -ლი კრიტერიუმის მიხედვით პრიმიტივების სრული ნუსხის ანალიზის შედეგად განხორციელდა პრიმიტივების

გაფილტვრა. შედეგად სიიდან ამოღებულ იქნა 7 პრიმიტივი. ესენია: #07, #27, #34, #46, #48, #49, #52, #53, #54. შესაბამისად პრიმიტივების სრულ ნუსხაში დარჩა 58 პრიმიტივი. ამ მეთოდით განხორციელდა მთლიანი სიის გაცხრილვა და შედეგად 2365 მეთოდი შემცირდა 531-მდე. აქედან 207 არის წახნაგოვანი კლასის წარმომადგენელი, 31 ცილინდრული და 293 შერეული.

(იხ. დანართი 2). საბოლოოდ სიიდან ასევე ამოღებულ იქნა შემდეგი მაგალითები: #04, #06, #07, #09, #24, #34, #36, #40, #47, #48, #51, #52, #53, #56, #57, #58

2.3.2 ირაციონალური მეთოდების გამორიცხვა

1-ლი პრიმიტივის დაპროგრამების მეთოდებს შორის ერთ-ერთი გზა არის:

```
Cube/ symmetric/ pyramid  
Cube/ symmetric/ pyramid  
Cube/ symmetric/ pyramid  
Cube/ symmetric/ pyramid  
Cube/ symmetric/ pyramid  
merged
```

აქ ჩანს რომ პრიმიტივის დასაპროგრამებლად 5 დამოუკიდებელი პრიმიტივი უნდა შეიქმნას და შემდეგ Boolean-ის საშუალებით განხორციელდეს მათი გაერთიანება. ამ შემთხვევისთვის სულ 243 სხვადასხვა მეთოდი შეიძლება იქნას გამოყენებული, როცა იგივე პრიმიტივის შექმნა ასევე კიდევ ერთი გზით არის შესაძლებელი და მხოლოდ Arbitrary მეთოდია საკმარისი, აქედან გამომდინარე პირველი შემთხვევა აშკარად შეიცავს ირაციონალურ გზებს, ამიტომ ეს მეთოდი ამოღებულ იქნა. ასევე ამოღებულ იქნა მსგავსი შემთხვევები დანართი 1-დან.

2.3.3 თეორიული მეთოდების გამორიცხვა

ამ შემთხვევის განხილვისას მეთოდების გაფილტვრის კრიტერიუმად გამოყენებულ უნდა იქნეს დაპროგრამების მეთოდების ტოპოლოგია. განვიხილოთ მაგალითი. Cube-ის დაპროგრამების მეთოდი არის შემდეგი:

```
<box name="Box" material="Aluminium" X_Y_Z=""/>
```

როგორც ჩანს ამ მეთოდით Cube იგება 1 ტრანზაქციით „X_Y_Z=“ პრიმიტივის ასაგებად arbitrary მეთოდის გამოყენების შემთხვევაში კი მისი ტოპოლოგია შემდეგნაირია:

```
<gvxy name="Polygon" material="Copper" dZ="1500.">  
<gvxy_point X_Y="-1250.;-1000."/>
```

```

<gvxy_point X_Y="0.;1000."/>
<gvxy_point X_Y="1250.;250."/>
<gvxy_point X_Y="250.;-750."/>
</gvxy>

```

აქ ჩანს, რომ 2 ტრანზაქციაა საჭირო პრიმიტივის დასაპროგრამებლად. 1-ლი „gvxy_point X_Y=" რომლის საშუალებითაც იკვრება პოლიგონი და მე-2 „dZ="" რომლის საშუალებითაც ამ პოლიგონს მიენიჭება მოცულობა. 3 ტრანზაქციაა საჭირო Symmetric მეთოდის გამოყენებისას:

```

<gvxysx name="SymmetricPolygon" material="Carbon"
dZ="1500.">
<gvxy_point X_Y="-1250.;1000."/>
<gvxy_point X_Y=" -500.;-750."/>
</gvxysx>

```

1-ლი ტრანზაქცია არის ის, რომ „gvxy_point X_Y=""-ის საშუალებით მეთოდს უნდა მიეწოდება პოლიგონის კოორდინატები, საკოორდინატო სისტემის ერთ მხარეს, ხოლო მე-2 მხარის კოორდინატებს მეთოდი სარკისებურად ავტომატურ რეჟიმში აიღებს და ეს წარმოადგენს მე-2 ტრანზაქციას. რაც შეეხება მე-3 ტრანზაქციას ეს არის dZ="", რომლის საშუალებითაც პოლიგონს მიენიჭება მოცულობა.

ამრიგად, თეორიული მსჯელობის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განხილული 3 მაგალითიდან 1-ელ შემთხვევას დანარჩენ 2-ზე უკეთესი წარმადობა ექნება, გამომდინარე იქიდან, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას მხოლოდ 1 ტრანზაქცია სრულდება და მისი გამოყენების შემთხვევაში, ლოგიკურად ნაკლები დრო და კომპიუტერული რესურსი იქნება საჭირო. ზემოთ აღწერილი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სრული ნუსხაში არსებული მეთოდების გაცხრილვა. განვიხილოთ მაგალითი:

```

Cube/ symmetric/ pyramid
Cube/ symmetric/ pyramid/ arbitrary
Cube/ symmetric/ pyramid/ arbitrary
Subtraction
Subtraction

```

როგორც ჩანს, აქ გამოყენებულია დაპროგრამების შემდეგი მეთოდები Cube, symmetric, pyramid და arbitrary. სულ არის 48 სხვადასხვა კომბინაცია. Symmetric მეთოდი პრიმიტივის შესაქმნელად იყენებს 3 ტრანზაქციას,

arbitrary-2-ს, ხოლო Cube და pyramid-1-ს. აქედან გამომდინარე Symmetric და arbitrary შეგვიძლია აღარ განვიხილოთ. შედეგად მივიღებთ:

Cube/ pyramid
Cube/ pyramid
Cube/ pyramid
Subtraction
Subtraction

მეთოდებს. სადაც 48 კომბინაციის ნაცვლად, დარჩა 8 სხვადასხვა კომბინაცია.

ზემოთ მოცემული მსჯელობის თუ გავავრცელებთ სხვა მეთოდებზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საუკეთესო მეთოდების რეიტინგი ასე გამოიყურება Cube ან pyramid->arbitrary, symmetric ან double symmetric. დანარჩენი მეთოდებისთვის საჭიროა სიმულაციის სატესტო სესიები.

ამრიგად, პრიმიტივების სრულ ნუსხაში დარჩა 42 პრიმიტივი და მათი დაპროგრამების 416 მეთოდი დარჩა (იხ. დანართი 3). აქედან ცილინდრულ კლასში დაჯგუფდა 7 მაგალითი 29 დაპროგრამების მეთოდით, წახნაგოვან კლასში 16 მაგალითი 135 დაპროგრამების მეთოდით და შერეულ კლასში 19 მაგალითი 252 დაპროგრამების მეთოდით.

2.4 მკ-2 თავის დასკვნები

სატესტო მაგალითების ფორმირება განხორციელდა 3 ეტაპად: 1. Atlas-ის დეტექტორის ტიპური გეომეტრიული აღწერების შერჩევა. 2. სატესტო მაგალითებისთვის დაპროგრამების მეთოდების შერჩევა. 3. სატესტო მაგალითების დაპროგრამების მეთოდების ანალიზი. შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1. გამოიყო ატლასის დეტექტორის ტიპური გეომეტრიული აღწერების 66 შემთხვევა, რომლებიც 3 კლასში განაწილდნენ. ესენია წახნაგოვანი, ცილინდრული და შერეული წახნაგოვან კლასში განთავსდა 32 მაგალითი, ცილინდრულ კლასში განთავსდა 11 მაგალითი და შერეულ კლასში განთავსდა 23 მაგალითი.


2. 66 მაგალითისთვის შეირჩა დაპროგრამების 2713 მეთოდი, აქედან წახნაგოვანი კლასის წარმომადგენლებისთვის 1883, ცილინდრული კლასის მაგალითებისათვის 126, ხოლო შერეული კლასის მაგალითებისათვის კი 704 დაპროგრამების მეთოდი.
3. განხორციელდა გეომეტრიული აღწერების დაპროგრამების მეთოდების ანალიზი 3 კრიტერიუმის მიხედვით, შედეგად გამოიყო 42 სატესტო მაგალითი თავისი 416 დაპროგრამების მეთოდით, აქედან ცილინდრულ კლასში დაჯგუფდა 7 მაგალითი 29 დაპროგრამების მეთოდით, წახნაგოვან კლასში 17 მაგალითი 135 დაპროგრამების მეთოდით და შერეულ კლასში 18 მაგალითი 252 დაპროგრამების მეთოდით.

თავი III: საკვლევი ინფრასტრუქტურის განსაზღვრა

3.1 სიმულაციის შესასვლელი ინფორმაციის განსაზღვრა

ATLAS-ის დეტექტორში ხორციელდება პროტონების დაჯახება. ისინი დაჯახების შედეგად იშლებიან და წარმოიქმნება მრავალი სხვადასხვა ნაწილაკი, რომლებიც სივრცეში სხვადასხვა მიმართულებით იფანტებიან. ამ პროცესს უწოდებენ ივენოს [40]. ერთი ივენი დამოუკიდებლად ვერ დარეგისტრირდება. იმისთვის, რომ ივენოები დარეგისტრირდეს, მათ უნდა გადალახონ რაოდენობის მინიმალური ზღვარი და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიწერებიან Run-ებში. Run უწოდება ტრიგერული სისტემების მიერ გაფილტრულ ივენოებს. ტრიგერული სისტემები ახდენენ დეტექტორიდან ინფორმაციის მიღებას და დამუშავებას [37] [38]. ATLAS-ის ექსპერიმენტის ტრიგერული სისტემები შემდეგნაირად არიან ორგანიზებული სურ 115.

1. პირველი დონის ტრიგერი
2. მაღალი დონის ტრიგერი
3. მონაცემთა ნაკადის სისტემა (DFS- DataFlow System)



სურ. 115 ATLAS-ის ექსპერიმენტის ტრიგერული სისტემები


1-ლი დონის ტრიგერის საშუალებით მონაცემების გაფილტვრა ხორციელდება აპარატურულ დონეზე. როგორც სურ. 116-დან ჩანს ის 3 ნაწილისგან შედგება: 1. Calorimeter Trigger; 2. Muon Trigger და 3.

ცენტრალური ტრიგერული პროცესორი (CTP- Central Trigger Processor). 1-ლი დონის ტრიგერული სისტემები ინფორმაციას იღებენ Calorimeter, Muon დეტექტორებიდან და ცენტრალური გამშვები პროცესორი აერთიანებს სიგნალებს ლოგიკურად, ტრიგერის მენიუს შესაბამისად.

მაღალი დონის ტრიგერი კი ნაწილაკების გაფილტვრას ახდენს პროგრამულად. პროგრამა ახორციელებს ნაწილაკების ტრაექტორიის აღდგენას და შემდეგ საინტერესო ნაწილაკების გაფილტვრას კინემატიკური მახასიათებლების მიხედვით.

მონაცემთა ნაკადის სისტემა (DFS) კი ახორციელებს იმ მონაცემთა შენახვას რომლებმაც მაღალი დონის ტრიგერული სისტემების ფილტრაცია წარმატებით გაიარეს [39].

Run-ების იდენტიფიცირება შესაძლებელია Run Number-ის საშუალებით. სურ. 116-ზე მოცემულია მაგალითი Run #206497. რომელიც



სურ. 116 ივენთის მახასიათებელი პარამეტრები

შეიცავს 50 ივენთს, ხოლო სურათზე კი მოცემულია მე-5 ივენთი. Run არის ნაწილაკების დაჯახების პროცესი, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდება [40]. პროტონების აჩქარება LHC-ში ხორციელდება ე.წ. კონების სახით, რომლებსაც ბიმებს უწოდებენ [41]. ბიმს

შესაძლებელია დროის სხვადასხვა მონაკვეთში შესაძლოა ქონდეს სხვადასხვა ენერგია, ამიტომ დეტექტორის და ბიმის მდგომარეობა არის ცვალებადი დროის სხვადასხვა პერიოდში. შედეგად Run-ებს იყოფა Luminosity ბლოკებად [40][42], Luminosity ბლოკებში გაერთიანებულნი არიან ისეთი ივენთები, რომლებიც დეტექტორის და ბიმის მდგომარეობის შეცვლამდე დაფიქსირდა, შესაბამისად Luminosity ბლოკების ხანგრძლივობა რამდენიმე წუთს გრძელდება. მათი იდენტიფიცირება ხდება LBN (Luminosity Block Number) პარამეტრით. ამავე სურათიდან ჩანს რომ ივენთი

ხასიათდება კიდევ რამდენიმე პარამეტრით, ესენი: Date, Time და Num. Data არის პარამეტრი რომლის საშუალებითაც დგინდება ივენთის შექმნის თარიღი, ხოლო Time ის საშუალებით, ივენთის შექმნის დროის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. რაც შეეხება Num პარამეტრს, აქ მოცემულია ივენთის ნომერი.

Atlas-ის ექსპერიმენტის სიმულაცია ხორციელდება ცერნში არსებულ lxplus-ის სერვერებზე. მისი გაშვება შესაძლებელია სპეციალური სერვისის ფაილით, რომელშიც პითონის სკრიპტია ჩაწერილი სურ. 117. როგორც

```
AtlasG4_tf.py \  
--inputEVNTFile /afs/cern.ch/user//share/OUT_EVNT_50.root \  
--geometryVersion 'default:ATLAS-R3S-2021-01-00-00_VALIDATION' \  
--conditionsTag 'default:OFLCOND-RUN12-SDR-25' \  
|--outputHITSfile OUT_HITS.root
```

სურ. 117 სიმულაციის გამშვები პითონის სკრიპტი

სურათიდან ჩანს სიმულაციის ჩასატარებლად საჭიროა ხელოვნურად, მონტეკარლოს გენერატორების მიერ შექმნილი მოვლენები (events), დეტექტორის გეომეტრიული აღწერები და Conditions Tag.

სიმულაციის პროცესისთვის მოვლენა წინასწარ არის შექმნილი სურ.117-ზე ჩანს, რომ მასზე მიმართვა ხდება --inputEVNTFile ბრძანებით. ეს ბრძანება მიმართავს სპეციალურ ფაილს, ამ შემთხვევაში მისი სახელია OUT_EVNT_50.root რომელიც განთავსებულია სერვერზე და მასში ჩაწერილია ივენთები. გეომეტრიულ აღწერებზე მიმართვა ხდება -- geometryVersion ბრძანებით. ეს ბრძანება იძახებს გეომეტრიულ აღწერებს მონაცემთა ბაზებიდან. ამ შემთხვევაში კი ის იყენებს გეომეტრიული აღწერების „ATLAS-R3S-2021-01-00-00_VALIDATION“ ვერსიას. ვინაიდან ის შემდგომში მაინც უნდა ჩანაცვლდეს ჩვენი გეომეტრიული აღწერებით არ აქვს მნიშვნელობა რომელ ვერსიას გამოვიყენებთ. სასურველი გეომეტრიის არჩევა შესაძლებელია ატლასის დეტექტორის გეომეტრიული აღწერების მონაცემთა ბაზიდან (სურ. 118), რომელიც აღნიშნულ მისამართზეა განთავსებული <https://atlas-geometry-db.web.cern.ch/atlas-geometry->

- [ATLAS-R2-2016-01-00-17.doc](#)
- [ATLAS-R2-2016-01-00-18.doc](#)
- [ATLAS-R2-2016-01-01-00.doc](#)
- [ATLAS-R3-2021-00-00-00.doc](#)
- [ATLAS-R3-2021-01-00-00.doc](#)
- [ATLAS-TEST-ASYM.doc](#)
- [ATLAS-TEST-ATLASCOMMON.doc](#)
- [ATLAS-TEST-CAVERN1.doc](#)
- [ATLAS-TEST-SFCAL.doc](#)
- [ATLAS-TEST-SOLD.doc](#)
- [ATLAS-TEST-SYMM.doc](#)


[db/tag_hierarchy_browser.php](#).

ასევე

მონაცემთა ბაზიდან ხდება „conditionsTag“-ის ამოღება. --conditionsTag ბრძანებას „ATLAS Condition Base“ მონაცემთა ბაზიდან მოაქვს ინფორმაცია, დროის კონკრეტულ მონაკვეთში დეტექტორის მდგომარეობის შესახებ [43][44].

სურ. 118 ფრაგმენტი ატლასის დეტექტორის გეომეტრიული აღწერების მონაცემთა ბაზიდან

როგორც ზემოთ იქნა განხილული სიმულაციის შესასვლელი ერთ-ერთი მთავარი პარამეტრია Run, დეტექტორის გეომეტრიასთან ერთად, ამიტომ მისი სწორად შერჩევა უმნიშვნელოვანესი საკითხია. აღნიშნული



სურ. 119 დეტექტორში ნაწილაკების გავრცელების სქემა

კვლევისთვის შესაძლებელია შერჩეულ იქნეს Run, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ელექტრონებს, პროტონებს, ნეიტრონებს (ნეიტრალური ადრონი), ნეიტრონებს, ფოტონებს და მიონებს [4]. სურ.119-ზე-იდან ჩანს, რომ ელექტრონები ნაწილაკების დაჯახების შედეგად წარმოიქმნებიან Z0-ში და შემდეგ ვრცელდებიან დეტექტორში, მათი გავრცელების ზონაა მაქსიმუმ ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი [45]. ამავე სურათზე წყვეტილი კონტურით აღნიშნულია ფოტონი, რომელიც ელექტრონის მსგავსად ელექტრომაგნიტურ კალორიმეტრში ვრცელდება და შემდეგ მიიღევა. ასევე მოცემულია პროტონები, რომლებიც ადრონულ კალორიმეტრამდე აღწევენ

და შემდეგ მიიღვიან. რაც შეეხება ნეიტრონს, ისიც პროტონის მსგავსად ადრონულ კალორიმეტრში მიიღვივ. სურათზე ასევე მოცემულია ნაწილაკი, მიონი. მიონი ერთადერთი ნაწილაკია, რომელიც დეტექტორის ყველა კომპონენტში ვრცელდება დაწყებული შიდა დეტექტორიდან, დამთავრებული მიონური სისტემებით. თუ ჩვენ კვლევისთვის ავიღებთ, ივენთს, რომელიც შეიცავს ელექტრონებს, როგორც ზემოთ არის განხილული, ის ელექტრომაგნიტურ კალორიმეტრში მიიღვივ და შესაბამისად არის დიდი შანსი იმის, რომ ის ყველა გეომეტრიულ ობიექტთან ურთიერთქმედებას ვერ მოახერხებს, იგივე შედეგი იქნება პროტონების შემთხვევაშიც, რადგანაც ის მხოლოდ ადრონულ კალორიმეტრამდე აღწევს. მხოლოდ ერთი ნაწილაკია ისეთი, რომელსაც შეუძლია მთელი დეტექტორის გამჭოლად გავლა და შესაბამისად, ყველა გეომეტრიულ ობიექტთან ურთიერთქმედების ალბათობაც გაცილებით დიდია. ეს ნაწილაკია მიონი. ამიტომ კვლევისათვის შერჩეულ იქნა Run (#222500), რომლის ივენთებიც შედგება მიონებისგან და მისი შესაბამისი ფაილი განთავსებულია lxplus-ზე. აღნიშნული ფაილის განთავსება შესაძლებელია სერვერზე ნებისმიერ ფოლდერში.

კვლევის ჩასატარებლად უნდა ვიყოთ დარწმუნებულები, რომ სიმულაციის პროცესი წარმატებით დასრულდა. ამიტომ სიმულაციის პროცესის გამოკვლევა აქტუალური ამოცანაა. სიმულაციის პროცესის გამოკვლევა უნდა განხორციელდეს, როგორც default პარამეტრებით, აგრეთვე ჩვენს მიერ მიწოდებული Run-ებით და გეომეტრიული აღწერებით. ეს მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ საბოლოოდ წარმატობის კვლევა უნდა განხორციელდეს ჩვენს მიერ შერჩეული გეომეტრიული აღწერებით.

სიმულაციის სესიის ჩატარების შემდეგ ხორციელდება Log ფაილის გენერაცია, რომელსაც ქვია log.AtlasG4Tf. სადაც მოცემულია ჩატარებული სიმულაციის პროცესის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. ამავე ფაილშია ინფორმაცია სიმულაციის პროცესის წარმატებით, ან წარუმატებლად დასრულების შესახებ. სურ. 120-ზე წარმოდგენილია default პარამეტრებით

```

7032 08:46:47 Py:PerfMonSvc      INFO --> [ntuple.pmon.dat] => 16.000 kb
7033 08:46:47 Py:PerfMonSvc      INFO --> [ntuple.pmon.stream] => 204.994 kb
7034 08:46:47 Py:PerfMonSvc      INFO --> [ntuple.pmon.pmonsd.txt] => 82.523
7035 08:46:47 Py:PerfMonSvc      INFO Writing out collected data... [ntuple.pmon
7036 08:46:47 ApplicationMgr    INFO Application Manager Finalized successfully
7037 08:46:47 ApplicationMgr    INFO Application Manager Terminated successfull
7038 08:46:47 Py:Athena          INFO leaving with code 0: "successful run"
7039 08:46:48 CoralApplication Info Delete the COOL CoralApplication...
7040 08:46:48 CoralApplication Info Delete the COOL database service
7041 08:46:48 RalDatabaseSvc Info Delete the RalDatabaseSvc...
7042 08:46:48 RalDatabaseSvc Info Purge the connection pool
7043 08:46:48 RalDatabaseSvc Info Reset the ICS pointer
7044 08:46:48 RalDatabaseSvc Info Delete the RalDatabaseSvc... DONE
7045 08:46:48 CoralApplication Info Delete the CORAL connection service
7046 08:46:48 CoralApplication Info Delete the COOL CoralApplication... DONE
7047 08:46:48 CORAL/Services/ConnectionService Info Deleting the ConnectionPool
7048

```

სურ. 120 ფრაგმენტი წარმატებული სიმულაციის log ფაილიდან

ჩატარებული წარმატებული სიმულაციის log ფაილის ფრაგმენტი. წარმატებული პროცესის log ფაილი მოიცავს 7048 სტრიქონს.

წარმატებული პროცესის გამოწვევა შესაძლებელია ხელოვნურად გეომეტრიის აქტიური კომპონენტების გათიშვით. სურ. 121-ზე 1295-ე

```

1278 08:44:53 ToolSvc.NewSmall... INFO -----
1279 08:44:53 ToolSvc.NewSmall... INFO Sections
1280 08:44:53 ToolSvc.NewSmall... INFO -----
1281 08:44:53 ToolSvc.NewSmall... INFO Volumes
1282 08:44:53 ToolSvc.NewSmall... INFO volume NewSmallWheel
1283 08:44:53 ToolSvc.NewSmall... INFO -----
1284 08:44:53 CORAL/Services/ConnectionService Info Re-ordering 3 replicas usi
1285 08:44:53 CORAL/Services/ConnectionService Info Sorting algorithm selected
1286 08:44:53 CORAL/Services/ConnectionService Warning Failed to connect to se
1287 08:44:53 CORAL/Services/ConnectionService Info Connection to service "geo
1288 08:44:53 CORAL/Services/ConnectionService Warning Failure while attemptin
1289 08:44:53 CORAL/RelationalPlugins/frontier Info The current compression lev
1290 08:44:53 CORAL/Services/ConnectionService Info New connection to service
1291 08:44:53 CORAL/Services/ConnectionService Info New user session with sess
1292 08:44:53 ToolSvc.NewSmall... INFO this is NSWAGDDTool::construct()!!!!
1293 08:44:53 ToolSvc.NewSmall... INFO Name = ToolSvc.NewSmallWheel
1294 08:44:53 ToolSvc.NewSmall... INFO trying to parse files
1295 08:44:53 ToolSvc.NewSmall... INFO Building NSW Readout Geometry
1296 08:44:53 AGDDtoGeoSvc      INFO initializing
1297 08:44:53 EvtIdModifierSvc  INFO Initializing EvtIdModifierSvc...
1298 08:44:53 ActiveStoreSvc    INFO Initializing ActiveStoreSvc - package
1299 08:44:53 AthenaEventLoopMgr INFO Initializing AthenaEventLoopMgr - pack
1300 08:44:53 AthMasterSeq      INFO Member list: AthSequencer/AthAlgSeq, A
1301 08:44:53 ClassIDSvc        INFO getRegistryEntries: read 1431 CLIDReg
1302 08:44:53 ClassIDSvc        INFO getRegistryEntries: read 853 CLIDRegi
1303 08:44:53 AthAlgSeq         INFO Member list: TimingAlg/SimTimerBegin,
1304 08:44:53 SimTimerBegin     INFO number of CPUs found: 10 of type Genui

```

სურ. 121 ფრაგმენტი წარმატებული სიმულაციის log ფაილიდან

სტრიქონიდან იწყება ჩვენს მიერ მიწოდებული NSW-ის გეომეტრიის აგება სიმულაციისათვის და ვინაიდან ის ხელოვნურად იყო გათიშული, პროცესი დასრულდა წარმატებლად სურ 122.

წარმატებული სიმულაციის შემთხვევაში ასევე ხორციელდება ფაილის გენერაცია, რომელსაც ქვია HITS.root. აღნიშნული ფაილი

```

1295 08:41:31 ToolSvc.NewSmal... INFO Building NSW Readout Geometry
1296 08:41:31 -----
1297 08:41:31 Core dump from CoreDumpSvc on lxplus609.cern.ch at Mon Nov 18 08:41:31 2019
1298 08:41:31 -----
1299 08:41:31 Caught signal 11(Segmentation fault). Details:
1300 08:41:31 errno = 0, code = 1 (address not mapped to object)
1301 08:41:31 pid = 24, uid = 0
1302 08:41:31 value = (420573184, 0x19117000)
1303 08:41:31 vmem = 1270.4 MB
1304 08:41:31 rss = 735.863 MB
1305 08:41:31 total-ram = 29378.2 MB
1306 08:41:31 free-ram = 237.031 MB
1307 08:41:31 buffer-ram= 223.707 MB
1308 08:41:31 total-swap= 10240 MB
1309 08:41:31 free-swap = 3614.73 MB
1310 08:41:31 addr = 0x18
1311 08:41:31 -----
1312 08:41:31 Event counter: 0
1313 08:41:31 Current algorithm: <NONE>
1314 08:41:31 Algorithm stack: <EMPTY>
1315 08:41:31 -----
1316 08:41:31 | AtlasBaseDir : /cvmfs/atlas-nightlies.cern.ch/repo/sw/21.3/2019-11-17T2149 |
1317 08:41:31 | AtlasVersion : 21.3.16 |
1318 08:41:31 | CMTCONFIG : x86_64-slc6-gcc62-opt |
1319 08:41:31 -----
1320 08:41:31 Note: to see line numbers in below stacktrace you might consider running following :
1321 08:41:31 atlasAddress2Line --file <logfile>
1322 08:41:31 -----
1323 08:41:31
1324 08:41:31 *** Break *** segmentation violation
1325 08:41:52
1326 08:41:52
1327 08:41:52
1328 08:41:52 -----
1329 08:41:52 There was a crash.

```


სურ. 122 ფრაგმენტი ხელოვნურად გამოწვეული წარუმატებელი სიმულაციის log ფაილიდან წარმოადგენს სიმულაციის შემდგომი ეტაპის შესასვლელ ინფორმაციას. წარუმატებელი სიმულაციის შემთხვევაში კი მისი შექმნა არ ხდება. აქედან გამომდინარე, თუ სიმულაციის ჩატარების შედეგად მივიღებთ log ფაილს შეცდომების გარეშე და ასევე, HITS.root ფაილს და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიმულაციის პროცესი წარმატებით დასრულდა.

როგორც ზემოთ არის აღწერილი კვლევის ჩასატარებლად აუცილებელია განხორციელდეს default გეომეტრიული აღწერების ჩანაცვლება ჩვენს მიერ შერჩეული გეომეტრიული აღწერებით, ამისათვის



სურ. 123 ჩვენი გეომეტრიული აღწერებით ჩატარებული სიმულაციის შედეგი უნდა შეიქმნას პითონის სკრიპტი სურ. 123, შემდგომ ის გამოძახებული იქნება სიმულაციის გამშვებ ფაილში, რომელიც default გეომეტრიულ აღწერებს ჩანაცვლებს ჩვენს მიერ xml-ში შექმნილ გეომეტრიულ აღწერებით. ამ სკრიპტის მოვალეობაა ის რომ წაიკითხოს ინფორმაცია xml ფაილიდან. რომელიც სურ. 123-ზე არის მონიშნული. სიმულაციის პროცესის გაშვებისას იტვირთება ის გეომეტრია, რომელიც თავდაპირველად იყო

ნაგულისხმევი და შემდგომ ხდება მისი ჩანაცვლება ჩვენი გეომეტრიული აღწერებით. Default პარამეტრებით სიმულაციის შედეგად მიღებული OUT_HITS.root ფაილის ზომა არის 764,9 კბ, სურ. 124. ხოლო ჩვენი



სურ. 124 default პარამეტრების ჩატარებული სიმულაციის შედეგი

გეომეტრიული აღწერებით ჩატარებული სიმულაციის შედეგად მიღებული იგივე ფაილის ზომა არის 498,2კბ, სურ.125 ანუ ჩვენმა გეომეტრიულმა

```

from GeoModelSvc.GeoModelSvcConf import GeoModelSvc
GeoModelSvc = GeoModelSvc()
GeoModelSvc.MuonVersionOverride="MuonSpectrometer-R.09.00.NSW"
from AthenaCommon import CfgMgr
from AthenaCommon.AppMgr import ToolSvc

from MuonAGDD.MuonAGDDConf import NSWAGDDTool
NSWAGDDTool = CfgMgr.NSWAGDDTool("NewSmallWheel", ReadAGDD=False, XMLFiles=["amdb.xml"])
ToolSvc+= NSWAGDDTool
    
```

სურ. 125 ფრაგმენტი default პარამეტრების ჩასანაცვლებელი პითონის სკრიპტიდან

აღწერებმა გარკვეული გავლენა იქონია შედეგზე.

3.2 სიმულაციის პროცესის წარმადობის შეფასების კრიტერიუმების და CPU-ს ხმაურის კოეფიციენტის მიხედვით ტესტირების სერვისის განსაზღვრა

სიმულაციის პროცესის წარმადობის შეფასება, 2 კრიტერიუმით განხორციელდება ესენია: დაკავებული მეხსიერება (RAM). დავალების

```

=== Units are milliseconds (cpu/wall) and kilobytes (vmem/malloc).
=== Full output inside: ntuple.pmon.gz
===== step ini =====
      n  cpu  vmem  malloc  component
[ini]  1  54990  275200  257461  G4AtlasSvc
[ini]  1   3780  130500  135688  GeoModelSvc
[ini]  1   3650  118768  126900  DetectorGeometrySvc
[ini]  1    390   45056   45591  PoolSvc
[ini]  1   2810   89672   73051  [collapsed_181_comps]
[ini]  1  65620  659196  638690  [total_for_185_comps]
    
```

სურ. 126 CPU Time და RAM-ის შესახებ ინფორმაცია სიმულაციის პროცესის log ფაილში

შესრულების პროცესორული დრო (CPU Time) [13]. ამ პარამეტრების შესახებ

ინფორმაცია მიღებულ იქნება სიმულაციის log ფაილიდან სურ 126. სურათზე ჩანს, რომ მონიშნულ პირველ სვეტში მოცემულია პროცესორის მიერ დავალების შესასრულებლად საჭირო დრო, ანუ CPU Time, რომელიც გაზომილია მილიწამებში, ხოლო მონიშნულ მეორე სვეტში malloc-ში იწერება სიმულაციის პროცესის მიერ დაკავებული ოპერატიული მეხსიერების RAM-ის შესახებ ინფორმაცია და ის გაზომილია კილობაიტებში. ჩვენი კვლევისთვის კი ყველაზე საინტერესო ინფორმაცია განთავსებულია ბოლო სტრიქონში, სადაც პროცესის ყველა ეტაპის დაჯამებული ინფორმაცია წარმოდგენილი CPU Time და RAM-ის შესახებ.


სიმულაციის საცდელი სესიების დროს, ერთი და იგივე პარამეტრების გამოყენებისას, ყოველ ჯერზე CPU Time-ის განსხვავებული შედეგები დაფიქსირდა, განსხვავებით RAM-ის შედეგებისგან. დაკავებული ოპერატიული მეხსიერება ასეთ შემთხვევაში არ იცვლება. CPU Time-ის განსხვავებული შედეგები განპირობებულია იმით, რომ სერვერები სადაც

serverlxplus703											სხვაობა max-min	ხმაური/%
CPU	80130	78910	78650	78550	78330	77990	78470	79040	78560	79040	2140	2.67
RAM	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526		
serverlxplus723												ხმაური
CPU	66540	66620	66190	66400	66430	66770	66220	66890	66850	66750	550	0.82
RAM	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526		
serverlxplus782												ხმაური
CPU	77500	76210	76340	79590	77760	78380	78510	76810	77070	76640	3380	4.24
RAM	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526	639526		

ცხრ. 71 სიმულაციის შედეგები CPU Time-ის ხმაურის დასადგენად


სიმულაციის სესიები მიმდინარეობს, პარალელურად სხვადასხვა ამოცანებით არიან დატვირთულები. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა ე.წ. ხმაურის კოეფიციენტის განსაზღვრა CPU Time-თვის. პირველ ეტაპზე განხორციელდა კვლევა ყველაზე სტაბილური სერვერის გამოსავლენად. ამისათვის შესწავლილ იქნა ცერნში მდებარე 3 lxplus სერვერი: lxplus703.cern.ch, lxplus723.cern.ch და lxplus782.cern.ch. lxplus703.cern.ch ცხრ. 71-ში წარმოდგენილია სამივე სერვერის სიმულაციის შედეგები. lxplus703.cern.ch სერვერის გამოსაკვლევად ჩატარდა სიმულაციის 10 საცდელი სესია. როგორც ჩანს CPU-თვის დაფიქსირებულ მაქსიმალურ და მინიმალურ შედეგებს შორის სხვაობა შეადგენს 2140 მილიწამს. ამრიგად

აღნიშნული სერვერის CPU-ს ხმაურის კოეფიციენტი შეადგენს დაახლოებით 2.67%-ს. შედეგები გრაფიკის სახით წარმოდგენილია სურ. 127-ზე. ასევე 10




სურ. 127 სერვერ lxplus703.cern.ch - ის სიმულაციის შედეგები

სესია ჩატარდა სერვერ lxplus723.cern.ch-ზე. დაფიქსირებული შედეგების მიხედვით მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობა შეადგენს 550 მილიწამს, ანუ ამ სერვერის CPU-ს ხმაურის კოეფიციენტი არის 0.88%. შედეგები გრაფიკის სახით მოცემულია სურ. 128-ზე. რაც შეეხება



სურ. 128 სერვერ lxplus723.cern.ch - ის სიმულაციის შედეგები

lxplus782.cern.ch სერვერს, წინა შემთხვევების მსგავსად აქაც 10 სესია ჩატარდა და CPU-ის მაქსიმალურ და მინიმალურ შედეგებს შორის სხვაობა შეადგინა 3380 მილიწამი. შედეგად დადგინდა, რომ ამ სერვერის ხმაურის



სურ. 129 სერვერ lxplus782.cern.ch - ის სიმულაციის შედეგები

კოეფიციენტი შეადგენს 4.24%-ს. მიღებული შედეგები გრაფიკის სახით მოცემულია სურ. 129-ზე.

ამრიგად, ყველაზე მცირე ხმაურის CPU-ს ხმაურის კოეფიციენტი დაფიქსირდა lxplus723.cern.ch სერვერისთვის. ის წარმოადგენს ყველაზე სტაბილურ სერვერს ამ თვალსაზრისით და ამიტომ შემდგომი კვლევისთვის საჭირო სიმულაციის სესიები ჩამტერებულ იქნება აღნიშნულ სერვერზე.

3.3 მე-3 თავის დასკვნები

1. განსაზღვრულ იქნა სიმულაციის შესასვლელი ინფორმაცია. ესენია: დეტექტორის გეომეტრიული აღწერები (ATLAS-R3S-2021-01-00-00_VALIDATION), Run # 222500 და Condition Tag (OFLCOND-RUN12-SDR-25).
2. განხორციელდა სიმულაციის წარმატებული და წარუმატებელი პროცესის იდენტიფიცირება.
3. განისაზღვრა სერვერი სიმულაციის სატესტო სესიებისთვის და ეს სერვერია lxplus723.cern.ch.

თავი IV: სიმულაციის სატესტო სესიები

სიმულაციის სატესტო სესიების მიზანს წარმოადგენს გამოკვლევულ იქნას შემდეგი საკითხები:

1. რომელი დაპროგრამების მეთოდია უკეთესი სიმულაციის წარმადობისათვის.
2. როგორი გავლენა აქვთ ობიექტების რაოდენობას სიმულაციის პროცესის წარმადობაზე.
3. რა გავლენა აქვს CGS და პოლიგონ მეთოდების სხვადასხვა კომბინაციებს სიმულაციის პროცესის წარმადობაზე.

პირველ საკითხზე პასუხი ნაწილობრივ გაცემულია როდესაც განხორციელდა დაპროგრამების მეთოდების კლასიფიკაცია თეორიული ვარიანტების მიხედვით, თუმცა დარჩა ისეთი მეთოდები რომლებიც უნდა შემოწმდეს უშუალოდ სიმულაციაში ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გამოსაკვლევად განხორციელდა სიმულაციის სატესტო სესიები.

4.1 ცილინდრული ობიექტების ტესტირება

პირველ ეტაპზე განხორციელდა ცილინდრული კლასის მაგალითების გამოკვლევა. დანართი #3-ში სულ ასეთი 7 მაგალითია: #08; #11; #21; #23; #26; #28; #32. ამ მაგალითებში ობიექტების დასაპროგრამებლად 3 მეთოდია გამოყენებული: Tube, Cylinder და Chain, უნდა გაირკვეს თუ რომელი მეთოდია უმჯობესი სიმულაციის წარმადობისათვის.

4.1.1 ტესტირება: მაგალითი № 23

მაგალითი #23-ზე ჩატარდა ცილინდრული ობიექტების დაპროგრამების მეთოდების წარმადობაზე გავლენის შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოკვლევულ იქნა Tube, Cylinder და Chain მეთოდები. ცხრ. 72-

Tube/ Cylinder/ Chain Tube/ Cylinder/ Chain combined

ცხრ. 72 #23 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

ზე წარმოდგენილია #23 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები. პირველ ეტაპზე განხორციელდა შესაბამისი კოდების შექმნა:

```

I
<tubs name="Tube1" material="Iron" Rio_Z="0.; 500.; 10000." profile="0.;360." nbPhi="20"/>
<composition name="HFTruckRail" >
  <posXYZ volume="Tube1" X_Y_Z=" 0.; 0.; 0.;" rot=" 0.; 0.;0." />
  <posXYZ volume="Tube1" X_Y_Z=" 0.; 1001.; 0.;" rot=" 0.; 0.;0." />
</composition>

II
<snake name="Chain" material="ShieldSteel" radius="500." nbPhi="20">
<snake_point X_Y_Z="0.; 0.; -5000." />
<snake_point X_Y_Z="0.; 0.; 5000." />
</snake>
<composition name="HFTruckRail" >
  <posXYZ volume="Chain" X_Y_Z=" 0.; 0.; 0.;" rot=" 0.; 0.;0." />
  <posXYZ volume="Chain" X_Y_Z=" 0.; 1001.; 0.;" rot=" 0.; 0.;0." />
</composition>

III
<pcon name="Cone" material="ShieldSteel" nbPhi="20">
<polyplane Rio_Z="0.; 500.; 5000."/>
<polyplane Rio_Z=" 0.; 500.; -5000."/>
</pcon>
<composition name="HFTruckRail" >
  <posXYZ volume="Cone" X_Y_Z=" 0.; 0.; 0.;" rot=" 0.; 0.;0." />
  <posXYZ volume="Cone" X_Y_Z=" 0.; 1001.; 0.;" rot=" 0.; 0.;0." />
</composition>

```

შემდგომ ეტაპზე კი თითოეული მათგანი გაშვებულ იქნა სიმულაციაში. ტესტის მომენტში CPU Time-ის ხმაურის კოეფიციენტი შეადგენს: 0.4% ცხრ. 73 მიღებული შედეგები კი წარმოდგენილია ცხრ. 74-ში როგორც ცხრილიდან

	CPU Time/ms										ხმაური/%
lxplus723.cern.ch	67010	69990	67150	67270	67220	66970	67020	67110	66980	67070	0.4

ცხრ. 73 #23 მაგალითის CPU Time-ის ხმაურის კოეფიციენტი


	Tube	Chain	Cylinder
CPU/ms	67000	67010	67120
RAM/kb	638298	638302	638299
სხვაობა CPU/ms		10	120
სხვაობა RAM/kb		4	1
სხვაობა CPU/%		0.0149	0.1788
სხვაობა RAM/%		0.0006	0.00016

ირკვევა წარმადობის თვალსაზრისით საუკეთესო შედეგს აფიქსირებს Tube მეთოდი, როგორც ოპერატიული მეხსიერების დატვირთვის ასევე CPU Time-ის მიხედვით. რაც

ცხრ. 73 #23 მაგალითის სიმულაციის წარმადობის შედეგები

შეეხება Cylinder და Chain მეთოდებს CPU Time-ში უპირატესობა Chain მეთოდის მხარესაა და ეს სხვაობა შეადგენს 0.18%, ხოლო ოპერატიული მეხსიერების დატვირთვის მიხედვით კი პირიქით უპირატესობა Cylinder

მეთოდის მხარესა და ეს სხვაობა შეადგენს 0.0006%-ს. სურ. 130-ზე იგივე შედეგები წარმოდგენილია გრაფიკული სახით.



სურ. 130 # 23 მაგალითის სიმულაციის შედეგები წარმოდგენილი გრაფიკულად

4.1.2 ტესტირება: მაგალითი № 28

განვიხილოთ #28 მაგალითი. ამ შემთხვევაშიც მოცემულია ცილინდრული ობიექტი, რომლის დაპროგრამების მეთოდი მოცემულია ცხრ.75-ში:

```

Tube/ Cylinder
Tube/ Cylinder
Subtraction
combined
    
```

ცხრ. 75 #28 მაგალითის დაპროგრამების მეთოდები

თავდაპირველად განხორციელდა შესაბამისი კოდის ფორმირება: I კოდი შეესაბამება Tube მეთოდს და II კი Cylinder მეთოდს. თითოეული მათგანი

```

I
<tubs name="Tube1" material="Iron" Rio_Z="400.; 500.; 10000." profile="0.;360." nbPhi="20"/>
<tubs name="Tube2" material="Iron" Rio_Z="0.; 500.; 1000." profile="0.;360." nbPhi="20"/>
<tubs name="Tube3" material="Iron" Rio_Z="400.; 499.; 10000." profile="0.;360." nbPhi="20"/>
<subtraction name="05_subtro" >
<posXYZ volume="Tube1" X_Y_Z=" 0.; 0.; 0.; 0." rot=" 0.; 0.;0."/>
<posXYZ volume="Tube2" X_Y_Z=" 500.; 0.; 0.; 0." rot=" 0.; 90.;0."/>
</subtraction>
<composition name="HFTruckRail" >
<posXYZ volume="05_subtro" X_Y_Z=" 0.; 0.; 0.;" rot=" 0.; 0.;0." />
<posXYZ volume="Tube3" X_Y_Z=" 5000.; 0.; 0.;" rot=" 0.; 90.; 0." />
</composition>

```

```

II
<pcon name="Cone" material="ShieldSteel" nbPhi="20">
<polyplane Rio_Z="400.; 500.; 5000."/>
<polyplane Rio_Z=" 400.; 500.; -5000."/>
</pcon>
<pcon name="Cone1" material="ShieldSteel" nbPhi="20">
<polyplane Rio_Z="0.; 500.; 500."/>
<polyplane Rio_Z=" 0.; 500.; -500."/>
</pcon>
<pcon name="Cone2" material="ShieldSteel" nbPhi="20">
<polyplane Rio_Z="400.; 500.; 5000."/>
<polyplane Rio_Z=" 400.; 500.; -5000."/>
</pcon>
<subtraction name="05_subtro" >
<posXYZ volume="Cone" X_Y_Z=" 0.; 0.; 0.; 0." rot=" 0.; 0.;0."/>
<posXYZ volume="Cone1" X_Y_Z=" 500.; 0.; 0.; 0." rot=" 0.; 90.;0."/>
</subtraction>
<composition name="HFTruckRail" >
<posXYZ volume="05_subtro" X_Y_Z=" 0.; 0.; 0.;" rot=" 0.; 0.;0." />
